პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КОМПАРТИИ ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 2 (9470) | შაბათი, 3 იანვარი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

ДИДИ ХАЛХЕБИС ДИДИ МЕГОБРОБА

1952 წელი აღინიშნა სსრ კავშირისა და ჩინეთის ხალხების დიადი მეგობრობის შემდგომი განმტკიცებით, ხალხებისა, რომლებიც მთელი კაცობრიობის მესამედს შეადგენენ. საბჭოთა ხალხისა და ჩინელი ხალხის ძმური თანამშრომლობის განვითარების საქმეში უმნიშვნელოვანესი წვლილია საბჭოთა მთავრობის მიერ ჩინეთის ხახალხო რესპუბლიკის მთავრობისათვის ჩინეთის ჩანჩურნის რკინიგზის უსასყიდლოდ გადაცემის დამთავრება, რაც გასული წლის უკანასკნელ დღეს განხორციელდა. 31 დეკემბერს, შესაბამისად საბჭოთა კავშირ-ჩინეთის 1950 წლის 14 თებერვლის შეთანხმებისა ჩინეთის ჩანჩურნის რკინიგზის შესახებ, აგრეთვე საბჭოთა კავშირ-ჩინეთის 1952 წლის 15 სექტემბრის კომუნიკეხი, ჩინეთის ხახალხო რესპუბლიკის მთავრობამ სრულ საკუთრებად მიიღო საბჭოთა მთავრობის ყველა უფლება ჩინეთის ჩანჩურნის რკინიგზისა და გზის კუთვნილი მთელი ქონების ერთობლივი მართვის დარგში.

ჩინეთის ჩანჩურნის რკინიგზის იმ ქონების შემადგენლობაში, რომელიც საბჭოთა მთავრობამ უსასყიდლოდ გადასცა სრულ საკუთრებად ჩინეთის ხახალხო რესპუბლიკის მთავრობას, შედის რკინიგზის მაგისტრალები სადგურ მანჯურიიდან სადგურ სუიფინხემდე (პოგრანიჩნაია) და ხარბინიდან დალნიმდე და პორტ-არტურამდე და მათი მიწები, რკინიგზის ნაგებობანი და მოწყობილობანი, მოძრავი შემადგენლობა — ორთქლმავლები, სატვირთო და სამგზავრო ვაგონები, დიზელმატარებლები, — ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნები, ელექტროსადგურები, ტელეფონისა და ტელეგრაფის სადგურები, კავშირგაბმულობის საშუალებანი და ბაზები, დამხმარე რკინიგზის შტოები, სახამახუროტექნიკური და სამოქალაქო შენობები, სამეურნეო ორგანიზაციები, დამხმარე და სხვა საწარმოები და დაწესებულებანი, რომლებიც მომსახურებას უწევენ აღნიშნულ გზას, აგრეთვე ქონება, რომელიც შეძენილი, აღდგენილი და ახლად აშენებულია საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მიერ ერთობლივი მართვის პერიოდში.

საბჭოთა მთავრობის მიერ ჩინეთის ხახალხო რესპუბლიკის მთავრობისათვის ჩინეთის ჩანჩურნის რკინიგზის გადაცემის დამთავრება ცხადყოფს, რომ საბჭოთა კავშირი დიდ პატივს სცემს ჩინელი ხალხის ეროვნულ დამოუკიდებლობას და ეროვნულ უფლებებსა და ინტერესებს, ცხადყოფს საბჭოთა საგარეო პოლიტიკის პრინციპების სიდიადეს. ამ ისტორიული აქტის მნიშვნელობა ის არის, რომ იგი კიდევ უფრო განამტკიცებს საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის ხახალხო რესპუბლიკის მეგობრობას.

საბჭოთა ხალხისა და ჩინელი ხალხის ძლევამოსილი კავშირი და ურღვევი მეგობრობა უდიდეს როლს ასრულებს საერთაშორისო ცხოვრებაში. იგი მძლავრი ძალაა მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცების საქმეში.

„საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის ხახალხო რესპუბლიკის დიადი მეგობრობა, — წერდა ი. ბ. სტალინი, — წარმოადგენს საიმედო გარანტიას ახალი აგრესიის საფრთხის წინააღდეგ, ფრთრეულ აღმოსავლეთსა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის მძლავრ ბურჯს“.

სსრ კავშირისა და ჩინეთის ხალხთა კავშირი და მეგობრობა მსოფლიოს უჩვენებს სოციალისტური ბანაკის ქვეყნებს შორის დამყარებული სრულიად ახალი საერთაშორისო ურთიერთობის მაგალითს, — ურთიერთობისა, რომელსაც საფუძვლად უდევს თვითეული სახელმწიფოს სრული და ნამდვილი თანასწორუფლებიანობა, სუვერენული უფლებებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნება, ეროვნული ინტერესების ურთიერთპატივისცემა, მჭიდრო თანამშრომლობა და ურთიერთდახმარება, მშვიდობისადმი საერთო მისწრაფება.

საბჭოთა ხალხისა და ჩინელი ხალხის დიადმა კავშირმა განამტკიცა მათი დიდი ხნის ისტორიული კავშირურთიერთობა. საბჭოთა ხალხი მუდამ მეგობრობისა და პატივისცემის დიდი გრძნობით ეკიდებოდა ჩინელ ხალხს, მის გმირულ განმათავისუფლებელ ბრძოლას, რომელსაც იგი ნაცადი ბელადის მაო ძე-დუნის ხელმძღვანელობით ეწეოდა ფეოდალური და იმპერიალისტური ჩაგვრის წინააღმდეგ.

როგორც ამხანაგ მაო ძე-დუნს არაერთხელ აღუნიშნავს ხაზგასმით, საბჭოთა ხალხის ისტორიულმა გამარჯვებებმა მნიშვნელოვნად შეუმსუბუქა ჩინელ ხალხს განთავისუფლებისათვის ბრძოლა. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გავლენით ხახალხო-განმათავისუფლებელი მოძრაობა ჩინეთში ახალ, უმაღლეს საფეხურზე ავიდა. რუსეთის მშრომელთა გამარჯვებამ ჩინელ ხალხს გაუნათა იმპერიალისტთა და ფეოდალთა უღლისაგან განთავისუფლების გზა. ჩინეთის ბედზე უდიდესი გავლენა მოახდინა გამარჯვებამ ფაშისტურ გერმანიასა და იმპერიალისტურ იაპონიაზე, გამარჯვებამ, რომლის მოპოვებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა საბჭოთა კავშირმა. გამოიყენა რა ამ გამარჯვების შედეგად შექმნილი ხელსაყრელი საერთაშორისო ვითარება, ჩინელმა ხალხმა ხახელოვანი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით გაანადგურა ჩან კაი-შის რეაქციული ბროვა, რომელსაც მხარს უჭერდნენ ამერიკელი იმპერიალისტები, და თავისი მრავალი წლის ბრძოლა დიადი გამარჯვებით დააგვირგვინა.

საბჭოთა ხალხი მხურვალედ მიესალმა ხახალხო რევოლუციის გამარჯვებას ჩინეთში. სსრ კავშირმა პირველმა ცნო ჩინეთის ხახალხო რესპუბლიკა და დაამყარა მასთან დიპლომატიური ურთიერთობა. ამით დაიმსხვრა ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების იმედი, რომ მიაღწევდნენ ახალგაზრდა რესპუბლიკის საერთაშორისო იზოლაციას.

საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის ხალხთა მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებაში ახალი ეპოქა შექმნა მეგობრობის, კავშირისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულებამ, რომელიც ხელმოწერილ იქნა 1950 წლის თებერვალში. ამ ხელშეკრულებამ განსაკუთრებული ძალით ცხადყო საბჭოთა საგარეო პოლიტიკის დიადი ლენინურ-სტალინური პრინციპები, გამოავლინა ორი დიდი ხალხის ძმური მეგობრობის მთელი სიღრმე და ძალა.

იმპერიალისტური იაპონიის დამარცხების, გომინდანელთა რეაქციული მთავრობის დამხობისა და საბჭოთა კავშირისადმი მეგობრული ჩინეთის ახალხო რესპუბლიკის შექმნის შედეგად შორეულ აღმოსავლეთში მომხდარმა ძირეულმა ცვლილებებმა შექმნა ახალი ვითარება, რომელმაც საშუალება მოგვცა ახლებურად მივდგომოდით ჩინეთის ჩანჩურნის რკინიგზის საკითხს.

როგორც ცნობილია, ეს რკინიგზა დღემდე საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ერთობლივ მმართველობაში იყო. ჩინეთის ჩანჩურნის რკინიგზის საბჭოთა კავშირ-ჩინეთის საზოგადოება, რომელიც ამ მიზნით შეიქმნა, მოქმედებდა ორივე მხრის სუვერენულ უფლებათა თანასწორობისა და ურთიერთპატივისცემის პრინციპებით. მან ხერიოზულ ეკონომიკურ წარმატებებს მიაღწია. იაპონელი მილიტარისტებისა და გომინდანელების მიერ დანგრეული რკინიგზის მეურნეობა სწრაფად აღდგენილ იქნა და განვითარდა. როგორც ჩინეთის პრესა აღნიშნავს, უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ათასზე მეტმა საბჭოთა სპეციალისტმა, რომლებიც ჩინეთის ჩანჩურნის გზაზე მუშაობდნენ, მოამზადა გზის 20.000-მდე ადმინისტრაციული და ტექნიკური მუშაკი. საბჭოთა და ჩინელი რკინიგზელების ერთობლივი საქმიანობა, რომელიც მეგობრული თანამშრომლობის ვითარებაში მიმდინარეობდა, ხერიოზული წვლილია თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთდახმარების პრინციპებზე დაფუძნებული საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მეგობრობის შემდგომი განმტკიცების საქმეში. ჩინეთის ჩანჩურნის რკინიგზა ჭეშმარიტად გახდა ჩვენი ქვეყნების ხალხთა **მეგობრობის მაგისტრალი.**

სსრ კავშირის მთავრობის მიერ ჩინეთის ხახალხო რესპუბლიკის მთავრობისათვის ჩინეთის ჩანჩურნის რკინიგზის გადაცემის შესახებ დასკვნითი ოქმის ხელმოწერის დროს წარმოთქმულ სიტყვაში ჩინეთის ხახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ადმინისტრაციული საბჭოს პრემიერმა ამხანაგმა ჯოუ ენ-ლაიმ თავმჯდომარე მაო ძე-დუნისა და ცენტრალური ხახალხო მთავრობის სახელით უღრმესი მადლობა უძღვნა დიდ საბჭოთა ხალხს, საბჭოთა მთავრობას და ამხანაგ სტალინს. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩინეთის ხახალხო რესპუბლიკის მთავრობისათვის ჩინეთის ჩანჩურნის რკინიგზის უსასყიდლოდ გადაცემა ცხადყოფს საბჭოთა მთავრობის უსაზღვრო ერთგულებას ჩინეთ-საბჭოთა კავშირის ძმური კავშირის საქმისადმი. „ჩვენს ქვეყნებს შორის ძმური თანამშრომლობის, სრულიად ახალი ტიპის თანამშრომლობის ასეთი ურთიერთობა, — თქვა ჯოუ ენ-ლაიმ, — უეჭველად უბადლო, ბრწყინვალე მაგალითია საერთაშორისო ურთიერთობის ისტორიაში“.

საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის ხახალხო რესპუბლიკის ეს ახალი, ისტორიაში უმაგალითო თანასწორუფლებიანი ურთიერთობა შეეხებამება დემოკრატიული ბანაკის ქვეყნებს შორის დამყარებული საქმიანი თანამშრომლობის სულისკვეთებას. ასეთ თანამშრომლობას საფუძვლად უდევს გულწრფელი სურვილი დაეხმაროთ ერთმანეთს და მივადწიოთ საერთო აღმავლობას.

აღნიშნავდა რა ამ თანამშრომლობის უდიდეს მნიშვნელობას, ჩინეთის ხახალხო რესპუბლიკის ცენტრალური ხახალხო მთავრობის თავმჯდომარე ამხანაგი მაო ძე-დუნი ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი თავის 1952 წლის 11 თებერვლის დეპეშაში წერდა:

„ჩვენ მადლობას გიძღვნით იმისათვის, რომ ორი წლის მანძილზე საბჭოთა მთავრობა და საბჭოთა ხალხი, ჩინეთის ხახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის მეგობრობის, კავშირისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების და ხელშეკრულებასთან დაკავშირებული შეთანხმებების სულისკვეთებით, მხურვალე და უანგარო მხარდაჭერას უწევდნენ ჩინეთის მთავრობას და ჩინელ ხალხს, რაც დიდად დაეხმარა ახალი ჩინეთის ხახალხო მეურნეობის აღდგენასა და განვითარებას და ხახელმწიფოს განმტკიცებას“.

დაეყრდნო რა საბჭოთა კავშირის მეგობრობასა და მხარდაჭერას, ჩინელმა ხალხმა მოკლე ვადაში წარმატებით განახორციელა ძირეული სოციალისტურ-ეკონომიკური გარდაქმნები, გადაჭრა მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი სამეურნეო-პოლიტიკური პრობლემები.

ამ ამამად ხახალხო ჩინეთი, როგორც ეს აღინიშნა სრულიად ჩინეთის ხახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს კომიტეტის ბიუროს ამასწინანდელ სხდომაზე, შედის ფართო გეგმიანი ეკონომიკური მშენებლობის პერიოდში. 1953 წელს იწყება ხახალხო ჩინეთის მშენებლობის პირველი ხუთწლიანი გეგმის განხორციელება.

საბჭოთა ადამიანები სიხარულით ხვდებიან ცნობებს იმის შესახებ, რომ ჩინელი ხალხი ჩინეთის კომუნისტური პარტიისა და თავისი ბელადის მაო ძე-დუნის ხელმძღვანელობით მტკიცე რწმენით მიდის წინ ახალი ცხოვრების მშენებლობის გზით. მათ გულწრფელად სურთ, რომ კიდევ უფრო განმტკიცდეს და გაიფურჩქნოს ჩინეთის ხახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის დიადი მეგობრობა — შორეულ აღმოსავლეთსა და მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროების მტკიცე დასაყრდენი.

„პრავდის“ 2/I მოწინავე

ЗА ЛЕНИНИСТСКУЮ ПАРТИЙНОСТЬ ЛИТЕРАТУРЫ

ЗА

საბჭოთა კავშირ-ჩინეთის კომუნიკე

საბჭოთა მთავრობის მიერ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობისათვის ჩინეთის ჩანჩუნის რკინიგზის გადაცემის შესახებ

შესაბამისად საბჭოთა კავშირ-ჩინეთის 1950 წლის 14 თებერვლის შეთანხმებისა ჩინეთის ჩანჩუნის რკინიგზის შესახებ, აგრეთვე საბჭოთა კავშირ-ჩინეთის 1952 წლის 15 სექტემბრის კომუნიკესი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობისათვის ჩინეთის ჩანჩუნის რკინიგზის გადაცემის შესახებ, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ უსასყიდლოდ გადასცა სრულ საკუთრებად ჩინეთის ჩანჩუნის რკინიგზისა და გზის კუთვნილი მთელი ქონების ერთობლივად მართვის ყველა თავისი უფლება, ხოლო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალურმა სახალხო მთავრობამ უსასყიდლოდ მიიღო სრულ საკუთრებად საბჭოთა მთავრობის ყველა უფლება ჩინეთის ჩანჩუნის რკინიგზისა და გზის კუთვნილი მთელი ქონების ერთობლივი მართვის დარგში.

ჩინეთის ჩანჩუნის რკინიგზის გადაცემა გაფორმებულია დასკვნითი ოქმით, რომელსაც საბჭოთა კავშირ-ჩინეთის შერეულმა კომისიამ ხელი მოაწერა 1952 წლის 31 დეკემბერს ქალაქ ხარბინში.

მუშაობა ჩინეთის ჩანჩუნის რკინიგზის გადამცემი საბჭოთა კავშირ-ჩინეთის შერეული კომისიისა, რომელიც შეიქმნა ორივე მთავრობის შეთანხმებით პარიტეტულ საწყისებზე, მიმდინარეობდა მეგობრული ურთიერთგაგების ვითარებაში.

ჩინეთის ჩანჩუნის რკინიგზის იმ ქონების შემადგენლობაში, რომელიც საბჭოთა მთავრობამ უსასყიდლოდ გადასცა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას, შედის რკინიგზის მაგისტრალები სადგურ მანჯურიიდან სადგურ სუიფინხემდე (პოგრანიჩნაია) და ხარბინიდან დალნიმდე და პორტ-არტურამდე და მათი მიწები, რკინიგზის ნაგებობანი და მოწყობილობანი, მძრავი შემადგენლობა — ორთქლმავლები, სატვირთო და სამგზავრო ვაგონები, დიზელმატარებლები, ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნები, ელექტროსადგურები, ტელეფონისა და ტელეგრაფის სადგურები, კავშირგაბმულობის საშუალებანი და ხაზები, რკინიგზის დამხმარე შტოები, სასამსახურო-ტექნიკური და სამოქალაქო შენობები, სამეურნეო ორგანიზაციები, დამხმარე და სხვა საწარმოები და დაწესებულებანი, რომლებიც მომსახურებას უწევენ გზას, აგრეთვე ქონება, რომელიც შეძენილი, აღდგენილი და ახლად აგებულია საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მიერ ერთობლივი მართვის პერიოდში.

ჩინეთის ჩანჩუნის რკინიგზის საბჭოთა კავშირ-ჩინეთის საზოგადოებამ, რომელიც შეიქმნა ორივე მხარის სუვერენულ უფლებათა თანასწორობისა და ურთიერთპატივისცემის პრინციპებზე, სერიოზულ ეკონომიკურ წარმატებებსა და პროგრესს მიაღწია იაპონელი მილიტარისტებისა და გომინდანელების მიერ დანგრეული რკინიგზის მეურნეობის აღდგენასა და შემდგომ განვითარებაში.

საბჭოთა და ჩინელი რკინიგზელების ერთობლივი საქმიანობა, რომელიც მეგობრული თანამშრომლობის ვითარებაში მიმდინარეობდა, სერიოზული წვლილია თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთდახმარების პრინციპებზე დაფუძნებული საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მეგობრობის შემდგომი განმტკიცების საქმეში.

გზის გადაცემა-მიღების დასკვნითი ოქმის ხელმოწერას დესწრნენ:

საბჭოთა კავშირის მხრივ — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ა. ს. პანიუშკინი.

ჩინეთის მხრივ — ცენტრალური სახალხო მთავრობის სახელმწიფო ადმინისტრაციული საბჭოს პრემიერი და საგარეო საქმეთა მინისტრი ჯოუ ენ-ლაი, რკინიგზების მინისტრი ტენ დაი-იუანი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე უ სიუ-ციუანი, ჩრდილო-აღმოსავლეთის სახალხო მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე გაო ჩუნ-მინი.

• • •

ხარბინი, 31 დეკემბერი. (საკდესი). ოღეს საზეიმო ვითარებაში ხელი მოაწერეს დასკვნით ოქმს იმის შესახებ, რომ სსრ კავშირის მთავრობამ უსასყიდლოდ გადასცა სრულ საკუთრებად ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას ჩინეთის ჩანჩუნის რკინიგზისა და გზის კუთვნილი მთელი ქონების ერთობლივად მართვის ყველა თავისი უფლება.

ოქმის ხელმოწერისას სსრ კავშირის ელჩმა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ა. ს. პანიუშკინმა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის სახელმწიფო ადმინისტრაციული საბჭოს პრემიერმა ჯოუ ენ-ლაიმ ერთმანეთს მიმართეს სიტყვებით.

ქვემოთ ქვეყნდება ა. ს. პანიუშკინისა და ჯოუ ენ-ლაის სიტყვები.



უკრაინის სსრ. დნეპრის მექანიკური ქარხნის კოლექტივი შეუდგა „ვ-104“ ვიბრატორების გამოშვებას. ახალ ვიბრატორებს იყენებენ ლითონის ნარანდის, მილებისა და ხის ხიმინჯების დასასობად. **სურათზე:** „ვ-104“ ვიბრატორების გამზადება კახოვკის ჰიდროკვანძის მშენებლებისათვის გასაგზავნად.

ფოტო ა. კრასოვსკისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

სსრ კავშირის მეგზალურგებმა ვადამდე შეასრულეს წლიური გეგმა

შავი მეტალურგიის სამინისტროს საწარმოთა მეტალურგებმა ვადამდე შეასრულეს 1952 წლის სახელმწიფო გეგმა ყველა მეტალურგიული ციკლის მიხედვით — თუჯის გამოდნობისა 23 დეკემბერს, ფოლადის გამოდნობისა 27 დეკემბერს, ნაგლინის წარმოებისა 26 დეკემბერს და ფოლადის მილების წარმოებისა 25 დეკემბერს. (საკდესი).

საბჭოთა ენერგეტიკოსებმა შეასრულეს სახელმწიფო გეგმა

ელექტროსადგურების სამინისტროს ენერგეტიკოსებმა 1952 წლის 31 დეკემბერს შეასრულეს ელექტროენერგიის გამომუშავების 1952 წლის სახელმწიფო გეგმა. (საკდესი).

გეგმების შესრულება

საქართველოს ლ. პ. ბერიას სახელობის შაქრის ქარხანამ 31 დეკემბერს შეასრულა შაქრის გამომუშავების მეოთხე კვარტალისა და ხმელი დურდოს გამომუშავების წლიური გეგმა.

შაქრის გამომუშავების წლიური გეგმა ქარხანამ ჯერ კიდევ 29 ნოემბერს შეასრულა. წლიური გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 300 ათას ფუთზე მეტი შაქარი.

• • •

რესპუბლიკის კვების მრეწველობის სამინისტროს თბილისის ზეთსახდელი ქარხნის კოლექტივმა ნატურალური პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა 29 დეკემბრისათვის 100,1 პროცენტით გაანაღდა.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების აღსანიშნავად კოლექტივმა ვალდებულება აიღო წლის ბოლომდე დარჩენილ დროში დამატებით დაემზადებინა 30 ტონა ზეთი. ეს ვალდებულებაც ქარხნის კოლექტივის მიერ შესრულებულია.

• • •

გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 25 დეკემბრისათვის შეასრულეს ვენახების და ფილოქსერაგამძლე სადედე ვაზის საშემოდგომო სამუშაოთა გეგმა. გადაჭარბებით არის შესრულებული აგრეთვე ახალი ვენახების გაშენების გეგმა.

ახალი ვაგზალი ულიანოვსკში

ულიანოვსკი, 31 დეკემბერი. (საკდესი). დღეს აქ გაიხსნა ახალი ვაგზალი. ლამაზ ორსართულიან შენობას აგვირგვინებს კოშკი, რომელსაც აქვს ვერცხლისფერი შპილი და ხუთქიმიანი ლალის ვარსკვლავი. მგზავრთა განკარგულებაშია მოსაცდელი დარბაზები, სასტუმრო, დედისა და ბავშვის ოთახი.

ვაგზლის მეორე სართულში მოთავსებულია ლენინის გალერეა.

კომუნიზმის დიად მშენებლობათა რუკა

რიგა. (საკდესი). რიგის კარტოგრაფიული ფაბრიკის კოლექტივმა დაამთავრა ბეჭდვა რუკისა „ბუნების გარდაქმნის დიად სამუშაოთა გეგმა“. რუკაზე აღნიშნულია კომუნიზმის დიად მშენებლობათა სქემები, სანაოსნო და საირიგაციო არხების ტრასები, მორწყვისა და წყალით უზრუნველყოფის რაიონები, წყალსაცავები, სახელმწიფო სატყეო ზოლები. რუკას დართული აქვს განმარტებითი ტექსტი „სტალინური ეპოქის დიადი მშენებლობანი“.

რუკა გამოდის მასობრივი ტირაჟით.

პრესის მიმოხილვა

გაზეთების დიდი და სანაქებო საქმიანობა

ამხანაგ ი. ბ. სტალინის გენიალური ნაწარმოები „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ ძვირფასი წვლილია მარქსიზმ-ლენინიზმის საგანძურში. ამ ნაშრომში უდიდესი მეცნიერული სიღრმით ნაჩვენებია სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის ძირითადი წინაპირობები და გზები.

პარტიული მასები, ჩვენი კადრები გულდასმით, ღრმად სწავლობენ ამხანაგ სტალინის ახალ კლასიკურ ნაშრომს, პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებს. პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანა ის არის, რომ ყველა მშრომელს ფართოდ განუმარტონ და შეასწავლონ ბელადის გენიალური ნაწარმოები. ამ საქმეში მათ თვალსაჩინო დახმარება უნდა გაუწიოს ჩვენმა პრესამ, რომელიც სისტემატურად და მთელი სერიოზულობით უნდა ეწეოდეს ამხანაგ სტალინის ნაშრომის, პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებათა მნიშვნელობის ფართო პროპაგანდას.

როგორ ასრულებს ჩვენი პრესის ამ დიდმნიშვნელოვან ამოცანას ქუთაისის საოლქო გაზეთი **„სტალინელი“?**

გაზეთის რედაქცია თავიდანვე ენერგიულად შეუდგა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდას. გაზეთში სისტემატურად იბეჭდება თემატური გვერდები საერთო სათაურით „დიადი ჰორიზონტები“. ამ გვერდებზე მოთავსებულ მასალებში გაზეთი თავის მკითხველებს მოუთხრობს იმ გრანდიოზულ ამოცანებზე, რომლებიც მეხუთე სტალინურ ხუთწლედში დასახულია ქუთაისის ოლქის მეშახტეების, მეავტომობილეების, ლითონმსხმელების, მაღაროელების წინაშე, უჩვენებს მასების ბრძოლას XIX ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

მაგრამ გაზეთ „სტალინელის“ რედაქციას მუშაობაში დიდი ნაკლი აქვს. მან თითქმის დაივიწყა სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემების შემსწავლელთათვის დახმარების საკითხი. „სტალინელის“ ფურცლებზე არ იბეჭდება ამ პრობლემებისადმი მიძღვნილი თეორიული სტატიები. დაუშვებელად უნდა ჩაითვალოს, რომ ამ საკითხზე გაზეთს ერთი ადგილობრივი თეორიული სტატია ან კონსულტაციაც კი არ დაუბეჭდავს. რედაქციას თავის გარშემო არა ჰყავს შემოკრებილი ადგილობრივი ავტორები, რომლებსაც შეუძლიათ თვალსაჩინო დახმარება გაუწიონ გაზეთის მკითხველებს დიდი ბელადის გენიალური ნაწარმოების — „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ — შესწავლაში. შედარებით უკეთესად ეწევა მუშაობას ამ დარგში თბილისის საოლქო გაზეთი „**გამარჯვება**“. ნოემბერში გაზეთის ორ ნომერში დაიბეჭდა სტატია „მეცნიერული კომუნიზმის საპროგრამო ნაწარმოები“. დეკემბერში გამოქვეყნებულ იქნა ადგილობრივი ავტორების ორი პროპაგანდისტული სტატია. მაგრამ ეს სრულიადაც არ არის საკმარისი!

ამხანაგ სტალინის ნაშრომის — „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“, პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებისა და მასალების მნიშვნელობის პროპაგანდა გაზეთების მუშაობის ცენტრში უნდა იდგეს.

„სტალინელის“ და „გამარჯვების“ ფურცლებზე სისტემატურად ქვეყნდება ინფორმაციები ბელადის ნაშრომისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესიებისა და ამ ნაშრომის შესწავლის შესახებ. ასეთი ინფორმაციების ბეჭდვა საჭიროა, მაგრამ ამასთან, აუცილებელია ყურადღება მიექცეს მთავარს, არსებითს — სწავლების ხარისხს. პრესის მოვალეობაა გადამწყვეტი ბრძოლა გამოუცხადოს დოგმატურ, მედიეთინურ, ზერელე მიდგომას ამხანაგ სტალინის ნაწარმოების შესწავლისადმი. ეს მით უფრო საჭიროა, რომ ზოგიერთი სამეცნიერო სესიის იდეურ-თეორიული დონე დაბალია. სამეცნიერო სესიებზე არ ხდება იმ შეცდომებისა და არევ-დარევის მხილება, რომლებიც ამხანაგ სტალინის ახალი ნაშრომის გამოქვეყნებამდე საბჭოთა ეკონომისტებისა და ფილოსოფოსების ერთ ნაწილს ჰქონდა დაშვებული სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემების გაშუქების საკითხში.

ამჟამად პრესის ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანა ის არის, რომ დაეხმაროს პარტიულ ორგანიზაციებს უზრუნველყონ ჩვენი კადრების, ყველა კომუნისტის, თვითეული მშრომელის მიერ ამხანაგ სტალინის ნაწარმოების, პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებების გულდასმით და ღრმად შესწავლა. ეს ამოცანა რომ წარმატებით შეასრულონ, საჭიროა ჩვენმა პრესამ და, მათ შორის, გაზეთებმა „სტალინელმა“ და „გამარჯვებამ“ გადაჭრით გააუმჯობესონ ბელადის ახალი ნაშრომის და XIX ყრილობის გადაწყვეტილებათა მნიშვნელობის პროპაგანდა, უკეთესად მოაწყონ გაზეთის ფურცლებზე მარქსისტულ-ლენინური თეორიის საკითხების, განსაკუთრებით სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემების საკითხების გაშუქება.

ახალი ათონის რაიონული პარტიული კონფერენცია

ახალი ათონი. (საკ. კორ.). შედგა ახალი ათონის პირველი რაიონული პარტიული კონფერენცია.

ახალი ათონის რაიონის შექმნასთან დაკავშირებით რაიონული პარტიული ორგანიზაციის ამოცანების შესახებ კონფერენციაზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. შ. გეთია.

სიტყვებით გამოვიდნენ ამხ. თ. ცაგურია, ს. იოსავა, ნ. ჩარგეიშვილი, მ. ჰაგბა, ზ. ტოფჩიანი, ვ. აკოზიანი.

კონფერენციამ დასახა კონკრეტული ღონისძიებანი რაიონში პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაობის გაძლიერების უზრუნველსაყოფად.

კონფერენციამ აირჩია პარტიის რაიონული კომიტეტი და სარევიზიო კომისია.

• • •

გაიმართა პარტიის ახალი ათონის რაიკომის პირველი პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

პლენუმმა საქართველოს კომპარტიის ახალი ათონის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. კ. უბილავა, რაიკომის მეორე მდივნად — ამხ. ს. გეზერდავა, ხოლო მდივნად — ამხ. ს. მალანია.

ხულოს რაიონული პარტიული კონფერენცია

ხულო. (საკ. კორ). გაიმართა საქართველოს კომპარტიის ხულოს რაიონული ორგანიზაციის კონფერენცია, რომელმაც მოისმინა პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივნის ამხ. გ. ცინცაბაძის მოხსენება ხულოს რაიონის გაყოფასთან დაკავშირებით რაიონის პარტიული ორგანიზაციის ამოცანების შესახებ.

კამათში მონაწილეობა მიიღეს სოფელ დეკანაშვილების მე-18 პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანმა ამხ. დ. ბოლქვაძემ, დიდჭარის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ი. გობაძემ, რაიონული გაზეთის „კოლექტიური შრომის“ რედაქტორმა ამხ. გ. ცინცაძემ, ხულოს სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ე. წილოსანმა, კომკავშირის რაიკომის მდივანმა ამხ. ა. ჯაყელმა, რაიონული საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგემ ამხ. შ. ჩხაიძემ და სხვებმა.

კონფერენციამ აირჩია პარტიის ხულოს რაიონული კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა.

• • •

შედგა რაიონული კომიტეტის პირველი პლენუმი, რომელმაც პარტიის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. ვ. ვადაჭკორია, მეორე მდივნად — ამხ. ს. ბერიძე, მდივნად — ამხ. ზ. ინაიშვილი.

სანიმუშოდ მოვეაროთ ჩაის პლანტაციებს

ჩაის პლანტაციების მოვლა-პატრონობის საქმეში აბაშის რაიონში არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ. მთელი რიგი კოლმეურნეობები უხეშად არღვევენ პლანტაციების მოვლის აგროტექნიკურ ვადებს.

სოფელ წყემის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში ახალგაზრდა პლანტაციები მოუვლელია. ნელი ტემპით მიმდინარეობს გადაბარვა, საღრენაჟო არხები არ არის ამოწმენდილი. კოლმეურნეობის გამგეობა არ ზრუნავს ჩაის პლანტაციის შემოსაკავებლად, რის გამო აქ ჩაის ბუჩქებს პირუტყვი ანადგურებს.

სოფელ გეზათის, ონტოფოს, ზანათის და სამიქაოს კოლმეურნეობებში გააჭიანურეს ჩაის პლანტაციების რემონტი და ნიადაგის გადაბარვა.

ჩამორჩენა გამოწვეულია იმითაც, რომ ზოგ კოლმეურნეობაში დაბალია შრომის დისციპლინა, უდარდელად ეკიდებიან ბრიგადების დაკომპლექტებას.

ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა სწრაფად უნდა გამოასწორონ ნაკლოვანებანი ჩაის მოვლის საქმეში.

ი. ბუხაიძე.

ამხ. ა. ს. პანიუშკინის სიტყვა

ამხანაგო პრემიერო, ამხანაგო კომისიის წევრებო, მეგობრებო!

დღეს საბჭოთა კავშირ-ჩინეთის შერეულმა კომისიამ ხელი მოაწერა დასკვნით ოქმს იმის შესახებ, რომ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირმა უსასყიდლოდ გადასცა სრულ საკუთრებად ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას ჩინეთის ჩანჩუნის რკინიგზისა და გზის კუთვნილი მთელი ქონების ერთობლივად მართვის ყველა თავისი უფლება. ეს აქტი კვლავ მოწმობს საბჭოთა კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას.

ცნობილია, რომ საბჭოთა მთავრობა თავისი შექმნის პირველი დღეებიდანვე ახორციელებს ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და მეგობრობის ლენინურ-სტალინურ საგარეო პოლიტიკას, რომელიც შეეფერება არა მარტო საბჭოთა ხალხის ინტერესებს, არამედ ემთხვევა მსოფლიოს ყველა ხალხის, მათ შორის აგრეთვე დიდი ჩინელი ხალხის ძირითად სასიცოცხლო ინტერესებსა და მისწრაფებას. საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა ძირეულად და პრინციპულად განსხვავდება საგარეო პოლიტიკისაგან, რომელსაც კაპიტალისტური სახელმწიფოები ახორციელებენ.

საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის ხალხებს შორის მეგობრობას ხანგრძლივი და სახელოვანი ისტორია აქვს. ეს მეგობრობა განმტკიცდა და გამოიწრთო საერთო მტრებთან ბრძოლაში.

ისტორიულმა ხელშეკრულებამ მეგობრობის, კავშირისა და ურთიერთდახმარების შესახებ, რომელიც ხელმოწერილია 1950 წლის 14 თებერვალს და რომელიც წარმოადგენს საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ურღვევი მეგობრობის მკაფიო გამოვლინებას, სამუდამოდ განამტკიცა ჩვენი დიდი ხალხების ძმური ურთიერთობა. ეს ხელშეკრულება, რომელიც განსაკუთრებული ძალით ცხადყოფს საბჭოთა საგარეო პოლიტიკის დიად ლენინურ-სტალინურ პრინციპებს, გვიჩვენებს იმ ძმური მეგობრობის გრძნობების მთელ სიღრმეს, რომლითაც საბჭოთა კავშირის ხალხები ჩინელ ხალხს ეპყრობიან.

იმპერიალისტური იაპონიის დამარცხების, რეაქციული გომინდანური მთავრობის დამხობისა და საბჭოთა კავშირისადმი მეგობრული ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნის შედეგად შორეულ აღმოსავლეთში მომხდარმა ცვლილებებმა შექმნა ახალი ვითარება, რომელმაც შესაძლებლობა მოგვცა ახლებურად მივდგომოდით ჩინეთის ჩანჩუნის რკინიგზის საკითხს.

1950 წლის თებერვალში ხელმოწერილი შეთანხმება ჩინეთის ჩანჩუნის რკინიგზის შესახებ ცხადყოფს, თუ რა პატივისცემით ეკიდება საბჭოთა კავშირი ჩინელი ხალხის ეროვნულ დამოუკიდებლობას, ეროვნულ უფლებებსა და ინტერესებს.

დღეს, დასკვნითი ოქმის ხელმოწერის ამ საზეიმო დღეს, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ჩინეთის ჩანჩუნის რკინიგზაზე საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის რკინიგზელების ერთობლივი მუშაობის დროს ეს გზა გახდა ჩვენი ქვეყნების ხალხთა შორის მეგობრობის მაგისტრალი.

საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის ხალხების მეგობრული ურთიერთობა, რომელიც მტკიცდება, საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თანასწორუფლებიანი და ურთიერთხელსაყრელი ეკონომიკური ურთიერთობა, რომელიც ვითარდება, წარმოადგენს ახალი ტიპის იმ თანამშრომლობის შესანიშნავ მაგალითს, რომელიც დემოკრატიული ბანაკის ქვეყნებს შორის დამყარდა. ასეთ თანამშრომლობას საფუძველად უდევს გულწრფელი სურვილი დაეხმარონ ერთმანეთს და მიაღწიონ საერთო აღმავლობას.

საბჭოთა ხალხსა და ჩინელ ხალხს შორის მეგობრობა, რომელიც ემსახურება არა მარტო საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის ხალხების ინტერესებს, არამედ აგრეთვე წარმოადგენს დიად და კაცობრიობის ისტორიაში უმაგალითო ძლიერ ძალას მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების საქმეში, სერიოზული დაბრკოლებაა ამერიკელი და ყველა სხვა იმპერიალისტების გზაზე, რომლებიც ცდილობენ განახორციელონ თავიანთი აგრესიული გეგმები.

ამხანაგი სტალინი ამხანაგ მაო ძე-დუნისათვის გაგზავნილ დეპეშაში იაპონიაზე გამარჯვების VII წლისთავის გამო წერდა, რომ საბჭოთა კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის დიადი მეგობრობა წარმოადგენს საიმედო გარანტიას ახალი აგრესიის საფრთხის წინააღმდეგ, შორეულ აღმოსავლეთსა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის მძლავრ ბურჯს.

განმტკიცდეს და მარად ცოცხლობდეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხალხებს შორის ურღვევი კავშირი და ძმური მეგობრობა!

გაუმარჯოს დიდი ჩინელი ხალხის ბელადს ამხანაგ მაო ძე-დუნს!

გაუმარჯოს დიდი საბჭოთა ხალხის ბელადს, მთელ მსოფლიოში მშვიდობის მედროშეს დიდ სტალინს!

ამხ. ჯოუ ენ-ლაის სიტყვა

ამხანაგო თავმჯდომარე, ამხანაგო ელჩო, ძვირფასო ამხანაგებო!

შესაბამისად 1950 წლის 14 თებერვალს ხელმოწერილი ჩინეთ-საბჭოთა კავშირის შეთანხმებისა ჩინეთის ჩანჩუნის რკინიგზის, პორტარტურისა და დალნის შესახებ და ჩინეთ-საბჭოთა კავშირის 1952 წლის 15 სექტემბრის კომუნიკესი ჩინეთის ჩანჩუნის რკინიგზის გადაცემის შესახებ, ჩინეთ-საბჭოთა კავშირის შერეულმა კომისიამ დღეს დაამთავრა მუშაობა იმისათვის, რომ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ უსასყიდლოდ გადასცეს სრულ საკუთრებად ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას ყველა თავისი უფლება ჩინეთის ჩანჩუნის რკინიგზისა და გზის კუთვნილი მთელი ქონების ერთობლივად მართვის დარგში. ეს უდიდესი მოვლენაა ჩინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის მეგობრული ურთიერთობისა და თანამშრომლობის ისტორიაში. მივესალმები ჩინეთის ჩანჩუნის რკინიგზის გადაცემის საქმეში მუშაობის წარმატებით დამთავრებას და თავმჯდომარე მაო ძე-დუნისა და ცენტრალური სახალხო მთავრობის სახელით ულრმეს მადლობას ვუძღვნი დიდ საბჭოთა ხალხს, საბჭოთა მთავრობას და ამხანაგ სტალინს.

ჩინეთის ჩანჩუნის რკინიგზის ჩინეთ-საბჭოთა კავშირის ერთობლივი მართვის დროს, საბჭოთა ამხანაგების დაუცხრომელი დახმარების მეოხებით, ჩინეთის ჯერ კიდევ ახალგაზრდა სარკინიგზო მშენებლობამ მიაღწია თვალსაჩინო წარმატებებს, ხოლო ჩვენი ტრანსპორტი უდიდეს როლს ასრულებს ახალი ჩინეთის ეკონომიკურ მშენებლობაში. ჩინელი ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს საბჭოთა ხალხის ამ ძმურ დახმარებას. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა ამხანაგების მიერ თავიანთი ცოდნის გულითადმა და მოთმინებით გაზიარებამ შესაძლებლობა მისცა ჩინეთის ჩანჩუნის რკინიგზის ჩინელ მოსამსახურეებსა და მუშებს აეთვისებინათ საბჭოთა კავშირის მოწინავე გამოცდილება და დაგვეხმარა აღგვეზარდა მრავალრიცხოვანი კადრები ახალ ჩინეთში რკინიგზის მშენებლობისათვის.

დღეს, ჩინეთის ჩანჩუნის რკინიგზის გადაცემის მუშაობის დამთავრების დღეს, მადლობას ვუძღვნი საბჭოთა ამხანაგებს — ჩინეთის ჩანჩუნის რკინიგზის მუშაკების მთელ კოლექტივს ამხანაგ ეროგოვის მეთაურობით, რადგან მხოლოდ მათი მშვენიერი მუშაობის მეოხებით მოიპოვა ჩვენმა ახალმა სარკინიგზო მშენებლობამ ესოდენ დიდი წარმატებანი.

ჩინეთის მთავრობისათვის ჩინეთის ჩანჩუნის რკინიგზის გადაცემას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. როგორც ცნობილია, 1945 წლით დაწყებული, მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირმა გაანადგურა იაპონელი იმპერიალისტები და გაათავისუფლა ჩინეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი რაიონი, ხოლო შემდეგ ჩინელმა ხალხმა საბჭოთა ხალხის თანაგრძნობითა და მხარდაჭერით ისტორიული გამარჯვება მოიპოვა იმპერიალისტებსა და მათს დამქაშებზე — ჩან კაი-შის რეაქციულ მთავრობაზე და შექმნა უმაგალითო ერთიანი სახალხო სახელმწიფო, მდგომარეობა შორეულ აღმოსავლეთში ძირეულად შეიცვალა. ამ ცვლილებამ შესაძლებლობა მისცა ჩინეთსა და საბჭოთა კავშირს, ორივე ქვეყნის ხალხების ძირეული ინტერესების შესაბამისად, 1950 წელს დაედოთ ჩინეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება მეგობრობის, კავშირისა და ურთიერთდახმარების შესახებ, რომელიც ორივე ქვეყნის ძმური მეგობრობისა და მარადიული თანამშრომლობის სიმბოლოა და ამ ხელშეკრულების საფუძველზე დაედგინათ, რომ ჩინეთის ჩანჩუნის რკინიგზა უსასყიდლოდ გადაეცემოდა ჩინეთის მთავრობას არაუგვიანეს 1952 წლის დამლევისა. დღეს საბჭოთა მთავრობამ დიდსულოვნად და უანგაროდ შეასრულა თავისი ვალდებულება, რაც ცხადყოფს, რომ საბჭოთა მთავრობა უსაზღვროდ ერთგულია ჩინეთ-საბჭოთა კავშირის ძმური კავშირის საქმისა. ჩვენს ქვეყნებს შორის ძმური თანამშრომლობის, სრულიად ახალი ტიპის თანამშრომლობის ასეთი ურთიერთობა, უეჭველად უბადლო, ბრწყინვალე მაგალითია საერთაშორისო ურთიერთობის ისტორიაში.

ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის დიადი მეგობრობა კიდევ უფრო განმტკიცდა და გაფართოვდა. მტკიცედ ვართ დარწმუნებული, რომ ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის დიადი ურღვევი მეგობრობა არა მარტო ხელს უწყობს ჩვენი დიდი სახელმწიფოების მშენებლობის საქმეს, არამედ უძლეველ ძალასაც წარმოადგენს შორეულ აღმოსავლეთსა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის დაცვის საქმეში. გაუმარჯოს ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის დიად მეგობრობას!

გაუმარჯოს ჩინელი ხალხის დიდ ბელადს ამხანაგ მაო ძე-დუნს!

გაუმარჯოს ჩინელი ხალხის ყველაზე მახლობელ მეგობარს, მთელი მსოფლიოს ხალხების დიდ მასწავლებელს ამხანაგ სტალინს!

მზადება არჩევნებისათვის

მოხსენებები და კონსულტაციები აგიტატორთა დასახმარებლად

საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომი ნაყოფიერ მუშაობას ეწევა მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების წარმატებით ჩატარებისათვის.

რაიკომის ბიბლიოთეკაში გაიმართა აგიტკოლექტივების ხელმძღვანელთა და აგიტპუნქტების გამგეთა სემინარი, რომელიც მიეძღვნა ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადების დღეებში საგიტაციო მუშაობის გაშლის საკითხს. რაიონის აგიტატორებისა და აგიტკოლექტივების ხელმძღვანელებისათვის წაკითხულ იქნა დოცენტ გ. ერემოვის ლექცია თემაზე — „სტალინური კონსტიტუცია მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის დროშაა“. რაიკომის ბიბლიოთეკაში მოეწყო XIX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებისა და საარჩევნო ლიტერატურის გამოფენა.

რაიონის პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა მოაწყეს აგიტპუნქტები, გადასინჯეს მოსახლეობაში მომუშავე აგიტატორთა შემადგენლობა, პარტიული და უპარტიო აქტივიდან დამატებით შეარჩიეს მომზადებული, გამოცდილი აგიტატორთა კადრები.

ამჟამად რაიონის საწარმო-დაწესებულებებში და მოსახლეობაში აგიტაციას ეწევა 2.300-ზე მეტი აგიტატორი, რომლებიც ფართოდ აცნობენ მუშამოსამსახურეებსა და დასახლისებს სტალინურ კონსტიტუციას, ეწევიან არჩევნების დებულების პოპულარიზაციას.

ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადება ფართოდ გაიშალა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. აქ მუშაობს 17 აგიტკოლექტივი, რომლებშიც გაერთიანებულია 200-მდე აგიტატორი. ისინი ფართო საგიტაციო მუშაობას ეწევიან ამომრჩეველთა შორის. აგიტატორების დასახმარებლად წაკითხულ იქნა ლექცია-მოხსენებები: „ი. ბ. სტალინის შრომა „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ ახალი ეტაპია მარქსისტულ-ლენინური თეორიის განვითარებაში“ (დოც. ი. ბაჯაძე), „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის ისტორიული მნიშვნელობა“ (დოც. გ. აფრიდონიძე), „პარტიის XIX ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ“ (დოც. ი. მიქელაძე) და სხვ. ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დებულების შესახებ აგიტატორებთან საკონსულტაციო საუბარი გამართა დოც. ო. ტატიშვილმა.

ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადებაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ ბავშვთა პირველი ინფექციური საავადმყოფოს აგიტატორები. მოსახლეობაში საინტერესო საუბრებს მართავენ ექიმი-აგიტატორები — გ. წურწუმია, ს. ოგანოვი, ი. გაჩეჩილაძე, ნ. ცქვიტინიძე და სხვები. მათ უკვე ჩატარებული აქვთ ოთხოთხი საუბარი. საუბრების დროს დიდ აქტივობას იჩენენ დასახლისები.

70 აგიტატორი აცნობს საარჩევნო დებულებას თბილისის აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის კოლექტივს. აგიტატორი მჭესლავი ნ. ბარათაშვილი პირადი შრომითი მაგალითით აღაფრთოვანებს ამომრჩეველებს. იგი ყოველდღიურ საწარმოო ნორმებს 140-150 პროცენტით ანაღდებს.

დედაქალაქის ბერიას რაიონში

დედაქალაქის ბერიას რაიონში ფართოდ გაიშალა მზადება მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების ორგანიზებულად ჩატარებისათვის. დამტკიცებულია სამუშაო გეგმები, შედგენილია საარჩევნო რუკა, სადაც ნაჩვენებია საარჩევნო ოლქებისა და უბნების ზუსტი საზღვრები.

საგიტაციო-მასობრივი მუშაობის უკეთ გაწარმოებისათვის პარტიის რაიკომმა მოაწყო პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების და საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელების საინსტრუქტაჟო თათბირები. რაიონში შექმნილია 27 აგიტპუნქტი. ორჯერ გაიმართა აგიტპუნქტებისა და აგიტკოლექტივების ხელმძღვანელთა თათბირი, შერჩეული და დამტკიცებულია ასობით აგიტატორი, მსხვილ საწარმო-დაწესებულებებთან შექმნილია არჩევნების დებულების შემსწავლელი წრეები.

არჩევნებისათვის მზადების პერიოდში დიდი ყურადღება ექცევა სალექციო პროპაგანდის გაძლიერებას. ამ მიზნით შერჩეული არიან კვალიფიციური მომხსენებლები. ისინი ლექციებს კითხულობენ დამტკიცებული თემატიკის მიხედვით. რაიკომის ბიბლიოთეკაში, აგრეთვე რაიონის ბიბლიოთეკებში მოწყობილია არჩევნებისადმი მიძღვნილი გამოფენები.

დიდი ყურადღება ექცევა ტექნიკურ-ორგანიზაციული საკითხების მოგვარებას. დაზუსტებულია საარჩევნო ოლქებისა და უბნების საზღვრები, გამოკრულია საარჩევნო ოლქების სიები, მიმდინარეობს საარჩევნო ოლქებისა და უბნებისათვის ბინების მოწყობა.

ამჟამად წარმოებს მუშაობა ამომრჩეველთა სიების შესადგენად და დასაზუსტებლად.

შ. კოკალიანი,
ი. მოლოდინი.

პირველი საუბარი

რკინიგზის ჭუჩაზე № 9 სახლში მცხოვრები დასახლისები კარგად იცნობენ აგიტატორ ქეთევან ხაბაზაშვილს. იგი ექვსი წელია კეთილსინდისიერად ასრულებს აგიტატორის საპატიო მოვალეობას, თავის მსმენელებს აცნობს პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებს, ესაუბრება ჩვენს ქვეყანაში მომხდარ გრანდიოზულ ცვლილებებზე, სოციალისტური ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივებზე.

განსაკუთრებით ხშირად დადის ქეთევანი დასახლისებთან პარტიის XIX ყრილობის შემდეგ. აგიტატორმა გულდასმით გააცნო მსმენელებს ყრილობის მიერ მიღებული ისტორიული გადაწყვეტილებანი, დიდი სტალინის მიერ ყრილობის დასკვნითს სხდომაზე წარმოთქმული სიტყვა და მისი კლასიკური ნაშრომი „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“.

ახლა, როცა ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები გაცხოველებით ემზადებიან ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის და ყველგან ახალი ძალით ჩაღდება საგიტაციო-მასობრივი მუშაობა, აგიტატორ ქ. ხაბაზაშვილის საუბრები უფრო საინტერესო და შინაარსიანი გახდა. ამას წინათ იგი ჩვეულებრივად ესტუმრა ეკატერინე ბეგიჯანოვას ბინას, სადაც პირველი საუბარი უნდა მოეწყო არჩევნების შესახებ. დასახლისები ხალისით შეხვდნენ აგიტატორს. საუბრის მოსასმენად 12 დასახლისმა მოიყარა თავი.

— ამ დღეებში, — დაიწყო საუბარი ამხ. ხაბაზაშვილმა, — გაზეთებმა და რადიომ მთელ ქვეყანას ამცნეს დიდმნიშვნელოვანი ამბავი — დიდმა ბელადმა და მასწავლებელმა, შობლიურმა სტალინმა პასუხი გასცა „ნიუ-იორკ ტაიმსის“ დიპლომატიური კორესპონდენტის ჯეიმს რესტონის კითხვებზე. ამხანაგმა სტალინმა თქვა, რომ „...ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის ომი არ შეიძლება გარდუვალად ჩაითვალოს, რომ ჩვენს ქვეყნებს კვლავაც შეუძლიათ იცხოვრონ მშვიდობიანად“.

მშობლიური სტალინის ბრძნული სიტყვები სიხარულით მიიღეს მთელი მსოფლიოს მშრომელებმა. იმ დროს, როცა ამერიკელი აგრესორები მხეცურად ყლეტენ მშვიდობისმოყვარე კორეელ ხალხს, ათასგვარი ხრიკებით ცდილობენ გააჩაღონ ახალი მსოფლიო ომი, საბჭოთა ხალხი ლენინ—სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით იბრძვის კომუნიზმის მშენებლობის გრანდიოზული ამოცანების განსახორციელებლად, მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და ხალხთა შორის მეგობრობის განსამტკიცებლად.

შემდეგ აგიტატორი შეუდგა არჩევნების დებულების პირველი თავის — „საარჩევნო სისტემის“ მუხლობრივ გარჩევას და განმარტებას. მან მსმენელებს ნათლად და გასაგებად გააცნო სტალინური კონსტიტუციის დიადი პრინციპები, რომლებზეც აგებულია საბჭოთა საარჩევნო სისტემა. აგიტატორმა დაახასიათა ბურჟუაზიული ქვეყნების საარჩევნო სისტემა, ილაპარაკა იმის შესახებ, რომ ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში მშრომელები მოკლებული არიან შესაძლებლობას აირჩიონ და არჩეულ იქნან ხელისუფლების ორგანოებში. ეგრეთწოდებული საყოველთაო საარჩევნო უფლება მხოლოდ ექსპლოატატორთა კლასის, საზოგადოების უმნიშვნელო უმცირესობის უფლებაა.

— ჩვენში კი, — განაგრძო აგიტატორმა, — არჩევნები საყოველთაოა: ყველა მოქალაქეს, რომელსაც 18 წელი შეუსრულდა, დამოუკიდებლად რასობრივი და ნაციონალური კუთვნილებისა, სქესისა, სარწმუნოებისა, განათლების ცენზისა, ბინადრობისა, სოციალური წარმოშობისა, ქონებრივი მდგომარეობისა და წარსული საქმიანობისა, უფლება აქვს მონაწილეობა მიიროს არჩევნებში. შემდეგ მან საუბრის მნიშვნელოვანი ნაწილი დაუთმო ამომრჩეველთა უფლება-მოვალეობის გარჩევას, ვრცლად ილაპარაკა არჩევნებში ქალთა მონაწილეობის უფლებასა და დებულების პირველ თავში გათვალისწინებულ სხვა საკითხებზე.

აგიტატორმა საუბრის დასასრულს მსმენელებს მოუთხრო იმის შესახებ, რომ მომავალი არჩევნებისათვის მზადება დაიმთხვა იმ პეროდს, როცა პარტიის XIX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით შთაგონებული საბჭოთა ხალხი თავდადებით მუშაობს მეხუთე სტალინური ხუთწლედის მესამე წლის გეგმის წარმატებით შესასრულებლად.

აგიტატორის დამაჯერებელმა, ცოცხალმა საუბარმა დასახლისთა დიდი აქტივობა გამოიწვია. დასახლისმა ზ. პაქსაშვილმა კმაყოფილება გამოთქვა იმ უფლებების გამო, რაც მას სტალინურმა კონსტიტუციამ მიანიჭა, როგორც ქალს, დედას. მისი სამი შვილი საშუალო სასწავლებელში სწავლობს. მათ ყველა პირობა აქვთ შექმნილი სწავლისათვის. მათზე ზრუნავს მშობლიური კომუნისტური პარტია, დიდი სტალინი. ვ. ჯღამაძემ და ე. ბეგიჯანოვამ განაცხადეს, რომ აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ საარჩევნო უბნების გაფორმებასა და კეთილმოწყობაში.

დასახლისებმა გადაწყვიტეს მოაწყონ ექსკურსიები თბილისის ისტორიული ადგილების დასათვალიერებლად, კოლექტიურად დაესწრონ კინოსურათებსა და ახალ სპექტაკლებს. მათ მადლობა გადაუხადეს აგიტატორს საინტერესო საუბრისათვის და გაცილებისას სთხოვეს:

— გელოდებით, მალე გვინახულეთ!

ბ. ჩიქვინიძე.

კლემენტ გოტვალდის სტატია

სიტყვა რადიოთი

პრაღა, 2 იანვარი. (საკადესი). ჟუშინ ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა კლემენტ გოტვალდმა რადიოთი მიმართა ჩეხოსლოვაკიის ხალხს საახალწლო სიტყვით.

დაახასიათა რა გასული წლის საერთაშორისო მდგომარეობის ძირითადი მომენტები, გოტვალდმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ხალხთა მისწრაფება მშვიდობისადმი იმპერიალისტთა მისწრაფებებზე ძლიერი აღმოჩნდა.

მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის მსოფლიო მოძრაობის გიგანტური გაქანების ბრწყინვალე დადასტურებას წარმოადგენდა, თქვა გოტვალდმა, ხალხთა მშვიდობის დაცვის დეკემბრის კონგრესი ვენაში. მსოფლიო ისტორიაში ჯერ კიდევ არ ყოფილა ისეთი კონგრესი, რომელზეც წარმოდგენილი ყოფილიყო ამდენი ხალხი და ადამიანთა ესოდენ ფართო ფენები, როგორც ამ კონგრესზე. მას ეესწრებოდნენ 85 ქვეყნის წარმომადგენლები, სხვადასხვა კლასისა და სულ სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულებისა და რელიგიის წარმომადგენლები. და, მიუხედავად ამისა, ისინი ყველანი შეთანხმდნენ იმაზე, რომ საყოველთაო მშვიდობა შეიძლება შენარჩუნებულ იქნას და კიდევაც უნდა იქნეს შენარჩუნებული, რომ სახელმწიფოთა შორის არ არსებობს ისეთი სადავო საკითხები, რომელთა გადაწყვეტაც საჭირო იყოს ომის საშუალებით.

მშვიდობისათვის მოძრაობის უდიდესი გაქანება მთელ მსოფლიოში და ამ მოძრაობის წარმატებანი გასულ წელს კვლავ ხაზგასმით აღნიშნავენ საბჭოთა კავშირის მშვიდობიანი პოლიტიკის ფასდაუდებელ მნიშვნელობას, საბჭოთა კავშირისა, რომელიც მშვიდობის მსოფლიო ბანაკის მთავარი ბურჯი და მთელი მშვიდობისმოყვარე კაცობრიობის მისწრაფებათა მთავარი გამომხატველია.

ამ მთავარი ამოცანის თვალსაზრისით, თქვა შემდეგ გოტვალდმა, ჩვენი სამშობლოს და მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის ბრძოლის თვალსაზრისით უნდა შეფასდეს გასულ წელს მომხდარი ჩვენი შინაური ამბებიც. უმნიშვნელოვანეს მათგანს უდავოდ ეკუთვნის ანტისახელმწიფოებრივი შეთქმულების ცენტრის განადგურება...

შემდეგ კლემენტ გოტვალდი შეეხო ჩეხოსლოვაკიის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მშენებლობას. გოტვალდმა აღნიშნა, რომ, მიუხედავად შეთქმულთა ყველა ხრიკისა და საბოტაჟური მოქმედებისა, ჩეხოსლოვაკიის სამრეწველო წარმოება გასულ წელს 1951 წელთან შედარებით გაიზარდა დაახლოებით 18 პროცენტით. მაშასადამე, თქვა გოტვალდმა, ჩვენი სამრეწველო წარმოების განვითარების ტემპი, წინა წლებთან შედარებით, არათუ არ შენელებულა, არამედ კიდევაც დაჩქარდა. ჩვენ მტკიცედ ვაშენებთ ჩვენი მომავალი კეთილდღეობის მაგარ საფუძვლებს და ამავე დროს ვცდილობთ დავაკმაყოფილოთ ჩვენი შინაური ბაზრის მზარდი მოთხოვნილებანიც.

სწორედ ასევეა საქმე ჩვენს სოფლის მეურნეობაში. აქაც ასევე, მიუხედავად შეთქმულთა ყოველგვარი საბოტაჟური მოქმედებისა, მიუხედავად მათი მისწრაფებისა — უნდობლობა და გახარწყა შეეტანათ ჩვენს წვრილ და საშუალო გლეხობაში, ერთიანი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ზრდისა და განმტკიცების ტემპი არათუ არ შენელებულა, არამედ მეტად მნიშვნელოვნად დაჩქარდა.

ახალ წელს, თქვა დასასრულ გოტვალდმა, ჩვენ უნდა დავძაბოთ მთელი ჩვენი ძალღონე. ჩვენი ამოცანები, რომელთა აზრი და მიზანიც ჩვენი ხალხის კეთილდღეობა, ჩვენი სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფოს განმტკიცება და საყოველთაო მშვიდობის შენარჩუნებაა, ჩვენ შეგვიძლია შევასრულოთ, იმიტომ რომ ჩვენ, დავაღწიეთ რა თავი მოღალატეთა ხაშიშარ ბანდას, ვისწრაფვით წინ, იმიტომ რომ მივდივართ წინ, რაკი უკეთ შეიარაღებული ვართ. ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ეროვნული კონფერენციისა და პარტიის ახალი წესდება, რომელიც კონფერენციამ მოიწონა, არსებითად ამაღლებს ჩვენი პარტიის დონეს და განამტკიცებს მის რიგებს. ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენი სახელოვანი კომუნისტური პარტია ახლა უფრო უკეთ, უფრო მეტი რწმენითა და გაბედულად გაუძღვება წინ ჩვენი ხალხის ფართო მასებს და მთელ ჩვენს ეროვნულ ფრონტს შემდგომი გამარჯვებებისაკენ; დასასრულ, იმიტომ, რომ მივდიოართ წინ მშვიდობის მძლავრი ბანაკის რიგებში, საბჭოთა ხალხის მხარდამხარ და სტალინის წინამძღოლობით. ამიტომ დღის, ახალი წლის მიჯნაზე, ამაყად და მტკიცედ ვიტყვით: წინ, მსოფლიო პროგრესისა და დემოკრატიის ჩეხოსლოვაკელო დამკვრელო ბრიგადავ, წინ ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის!

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის ვილჰელმ პიკის საახალწლო სიტყვა

ბერლინი, 31 დეკემბერი. (საკადესი). დღეს საღამოს ახალი წლის წინადღეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ვილჰელმ პიკმა სიტყვა წარმოთქვა რადიოთი გერმანელი ხალხის წინაშე. შეაჯამა რა გასული წლის შედეგები, ვილჰელმ პიკმა თქვა:

მიუხედავად ომის გამჩაღებლებისა და მათი აგენტების მთელი ცილისწამებისა, მიუხედავად მთელი ცდებისა — ხელი შეეშალნათ და ზიანი მოეყენებინათ ჩვენთვის, ჩვენ მივაღწიეთ და კიდევაც გადავაჭარბეთ 1952 წლისათვის დასახულ მიზნებს. ჩვენი რეს-

(დასასრული მე-4 გვერდზე)

უკეთ მოვაწყოთ საბჭოთა კულტურული ვაჭრობა

○

სახელმწიფო ვაჭრობის მუშაკთა აქტივის რესპუბლიკური თათბირი

○

ამ დღეებში შედგა სახელმწიფო ვაჭრობის მუშაკთა აქტივის რესპუბლიკური თათბირი, რომელმაც განიხილა საკითხი — სავაჭრო ორგანიზაციებში სოციალისტური საკუთრების დაცვისათვის ბრძოლის გაძლიერებისა და საკონტროლო-სარევიზიო მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრმა ამხ. დ. ხანთაძემ.

როგორც მომხსენებელი, ისე კამათში გამოსული ამხანაგები აღნიშნავდნენ, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა, ამხანაგ სტალინის გენიალურმა ნაშრომმა „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ ჩვენი პარტია, საბჭოთა ხალხი შეაიარაღეს კომუნიზმის მშენებლობის დიადი პროგრამით. ამის შედეგად მთელ ჩვენს ქვეყანაში დიდი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობაა. გაჩაღდა ბრძოლა მეხუთე ხუთწლედით დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის. ეს საბჭოთა ვაჭრობის მუშაკებს ავალებს მკვეთრად გარდაქმნან მუშაობა, გამოასწორონ დაშვებული შეცდომები და ნაკლოვანებანი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განახლებულმა ხელმძღვანელობამ უდიდესი ღონისძიებანი განახორციელა და დიდად დაეხმარა ვაჭრობის მუშაკებს მუშაობის გაუმჯობესებაში.

მაგრამ, როგორც ეს აღინიშნა თათბირზე, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო მთლიანად ვერ იყენებს ყველა შესაძლებლობას თავისი მუშაობის გარდასაქმნელად. მთელ რიგ სავაჭრო ორგანიზაციებში არის სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა და ფულადი სახსრების გაფლანგვა-დატაცების შემთხვევები.

ფოთვაჭრობის ყოფილი დირექტორი ურთმელიძე და ყოფილი მთავარი ბუხპალტერი აფხაზავა ხელს უწყობდნენ სავაჭრო სისტემის დანგვიანებას, ფარავდნენ დამნაშავეებს.

ამ ბოლო დროს ქუთაისვაჭრობის № 69 მაღაზიაში გამოირკვა, რომ ბუხჰალტერ ტ. ბუაძეს ინვენტარიზაციის შედეგები გამოჰყავდა არასწორად და სისტემატურად ფარავდა გაფლანგვა-დატაცებას. ქუთაისის ოლქის სახვაჭრობის ზუგდიდის განყოფილების № 3 მაღაზიაში ფასეულობის ინვენტარიზაცია არ მოხდარა 5 თვის განმავლობაში (1952 წლის აპრილიდან სექტემბრამდე).

ზოგიერთი სავაჭრო ორგანიზაციების ხელმძღვანელები მფარველობასა და წაყრუებას იჩენენ სოციალისტური საკუთრების მტაცებელთა მიმართ. მაგალითად, რუსთავვაჭრობის № 27 მაღაზიის სექციონერი ი. პოლუმორდვინოვი, რომელსაც ორჯერ ჰქონდა საქონლის დიდი დანაკლისი, პასუხისგებაში არ გადასცეს. ამით გათამამებულმა კომბინატორმა 52.000 მანეთი გაფლანგა. ჭიათურაში № 11 სასურსათო მაღაზიის გამგეს ე. იაკობაშვილს აღმოაჩნდა 26.439 მანეთის გაფლანგვა, მაგრამ ჭიათურის სავაჭრო განყოფილების გამგემ ამხ. ხაჟალიამ გამფლანგველი სამუშაოზე დატოვა. იგი მხოლოდ ხელმძღვანელი ორგანოების ჩარევის შემდეგ მოხსნეს და მისცეს პასუხისგებაში. ასეთივე ფაქტები იყო სტალინირის სახელმწიფო ვაჭრობის, თბილისის ოლქვაჭრობის მთელ რიგ სავაჭრო ობიექტებში. გასული წლის IV კვარტალში დიდი გაფლანგვები გამოაშკარავდა აგრეთვე თბილმრეწვაჭრობაში (ყოფილი დირექტორი პ. კილასონია).

ეს ფაქტები მოწმობენ, რომ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო, სავაჭრო ორგანიზაციები, სასადილოთა ტრესტები სათანადო კონტროლს არ ახორციელებენ სავაჭრო ქსელისადმი და გამფლანგველთა საქმეების სასამართლო-საგამომძიებლო ორგანოებში დროზე გადაცემისა და ამ საქმეების მსვლელობისადმი. პროკურატურისა და სასამართლოს ორგანოებიც ჯერ კიდევ ვერ უწევენ საკმაო დახმარებას სავაჭრო ორგანიზაციებს გაფლანგვა-დატაცების წინააღმდეგ ბრძოლაში, აჭიანურებენ საქმეების განხილვას. ამ ორგანოებმა ქმედითი ღონისძიებანი უნდა განახორციელონ არსებულ ნაკლოვანებათა სწრაფად გამოსწორებისათვის.

ვაჭრობის გაუმჯობესებისა და გაფლანგვა-დატაცების ლიკვიდაციის საქმეში სავაჭრო ორგანიზაციების წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელების გადამწყვეტი პირობაა კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის შემდგომი გაუმჯობესება. მაგრამ ამ მხრივ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს და ცალკეული სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობაში ჯერ კიდევ ვხვდებით სერიოზულ ნაკლოვანებებს, შეცდომებსა და დამახინჯებებს. არის კადრების დიდი დენადობა. მაგალითად, 1952 წლის 9 თვეში თბილისის პურვაჭრობაში დენადობამ მიაღწია მუშაკთა მთელი რაოდენობის 45 პროცენტს, რუსთავვაჭრობაში — 59 პროცენტს, ქუთაისვაჭრობაში — 34 პროცენტს, აფხაზვაჭრობაში — 30 პროცენტს.

სავაჭრო ორგანიზაციებში საკმაოდ არ არის გამოყენებული ქალთა შრომა. განსაკუთრებით მცირეა ქალთა პროცენტი ვაჭრობის ხელმძღვანელ მუშაკთა შემადგენლობაში. ქუთაისვაჭრობაში მომუშავე ქალთა რიცხვი არ აღემატება 26,2 პროცენტს, თბილისვაჭრობაში — 38,8 პროცენტს, თბილისის პურვაჭრობაში — 39 პროცენტს და სხვ.

ამოცანა ის არის, რომ ვამრავლოთ მიღწევები, საუკეთესო მომსახურების ბრიგადების რიცხვი, წავახალისოთ ვაჭრობის მოწინავე მუშაკები, ფართოდ გავავრცელოთ მათი გამოცდილება. საჭიროა ავამაღლოთ ვაჭრობის მუშაკთა იდეურ-პოლიტიკური მომზადების დონე, ფართოდ გავშალოთ კრიტიკა და თვითკრიტიკა, დროულად ვამხილოთ ნაკლოვანებანი და სწრაფად აღმოვფხვრათ ისინი.

მიუხედავად მიღებული ღონისძიებებისა, ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად სრულდება საქონელბრუნვის გეგმები. განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა ქუთაისის ოლქის სავაჭრო ორგანიზაციებში. 1952 წლის 9 თვეში მათ საქონელბრუნვის გეგმის შესრულებას დააკლეს რამდენიმე მილიონი მანეთი, ხოლო მოგების გეგმიც შესრულებას — 4.260 ათასი მანეთი. მოგების გეგმა ვერ შეასრულეს თბილისის ოლქის სავაჭრო ორგანიზაციებმაც.

არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული მოსახლეობისათვის საჭირო საქონლის მიწოდება. 1952 წლის 11 თვეში ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული ფონდების მიხედვით მრეწველობამ და სარეწაო კოოპერაციამ სავაჭრო ორგანიზაციებს დააკლეს მილიონობით მანეთის საქონელი.

მოხსენების გამო გამართულ კამათში გამოსული ნ. ბაიდაშვილი (თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სავაჭრო განყოფილების გამგე) შეეხო მთელ რიგ ნაკლოვანებებს თბილისის სავაჭრო ქსელში. ადგილი აქვს ზომაწონაში მოტყუებისა და გაფლანგვის მრავალ შემთხვევას. ნაკლები ყურადღება ექცევა მომხმარებელთა მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. მან ილაპარაკა ცალკეული სავაჭრო ორგანიზაციების და მაღაზიების ხელმძღვანელთა მოუქნელ მუშაობაზე, მაგრამ არაფერი თქვა იმაზე, თუ როგორ მუშაობს საქალაქო საბჭოს აღმასკომის სავაჭრო განყოფილება, რა კონკრეტული ღონისძიებანი განახორციელა არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის.

აჭარის ასსრ ვაჭრობის მინისტრის ამხ. შ. შარაშიძის გამოსვლამ ვერ დააკმაყოფილა თათბირის მონაწილენი. მისი სიტყვა იყო ზოგადი, ციფრობრივი მონაცემებით გადატვირთული. ამხ. შარაშიძეს არაფერი უთქვამს იმაზე, თუ როგორ ფიქრობს აჭარის ასსრ ვაჭრობის სამინისტრო მუშაობის გარდაქმნას, რა ქმედით ღონისძიებებს ახორციელებს გაფლანგვა-დატაცების ლიკვიდაციისა და ვაჭრობის კულტურის ამაღლებისათვის.

როგორც ბათუმის საზკვებტრესტის დირექტორმა ამხ. მ. გიორგაძემ აღნიშნა, სავაჭრო ორგანიზაციებს ოპერატიულ ხელმძღვანელობასა და დახმარებას არ უწევს აჭარის ასსრ ვაჭრობის სამინისტრო. დღემდე მოუგვარებელია სავაჭრო ობიექტების დაცვის საკმე. გაფლანგვები სავაჭრო ქსელში არ იქნებოდა, რომ სარევიზიო მუშაობა სათანადო დონეზე იდგეს. საქართველოს სსრ და აჭარის ასსრ ვაჭრობის სამინისტროები ხშირად ბალანსებს შეუმოწმებლად იღებენ.

— სავაჭრო ორგანიზაციებში ჯერ კიდევ სუსტად არის დაყენებული კონტროლის საქმე, — თქვა სახელმწიფო ვაჭრობის მთავარმა ინსპექტორმა ამხ. გ. ლეკაიშვილმა, — არის შემთხვევები, როცა აქტებს წერენ არასერიოზულად, სახელმწიფო აქტების ნაცვლად ხშირად ადგენენ აქტებს უბრალო ქაღალდზე. ბევრ მაღაზიაში რევიზიას აჭიანურებენ 3-4 თვეს. სავაჭრო ორგანიზაციების ხელმძღვანელები არ ინტერესდებიან, თუ რა ბედი ეწია პასუხისგებაში მიცემულ პირთა საქმეებს.

— პროფკავშირული ორგანიზაციები მოწოდებული არიან იბრძოლონ გაფლანგვა-დატაცების წინააღმდეგ, ყურადღება გამახვილონ კოლექტიური ხელშეკრულებების დროულად დადებასა და შესრულებაზე. შარშან წარმოდგენილი კოლხელშეკრულებების დიდი ნაწილი უხარისხოდ იყო შედგენილი. ზოგან არ აფასებენ მომხმარებელთა კონფერენციების მნიშვნელობას. — აღნიშნა ვაჭრობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ფ. გეგეშიძემ.

ქუთაისის საოლქო საბჭოს აღმასკომის სავაჭრო განყოფილების გამგემ ამხ. მ. ბიბილაშვილმა აღნიშნა, რომ ოლქის სავაჭრო ორგანიზაციებში გადიდებულ ფასებში იყიდებოდა 62 სახელწოდების საქონელი. ასეთი ფაქტები იყო ცხაკაიას, ამბროლაურის, საჩხერის, წალენჯიხის და მთელ რიგ სხვა რაიონებში. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო ქუთაისის ოლქის სავაჭრო ორგანიზაციებს ვერ უწევს კონკრეტულ, ოპერატიულ ხელმძღვანელობასა და დახმარებას. სამინისტროდან ხშირად გზავნიან დირექტივებს, ბრძანებებს, მაგრამ ადგილზე მათ მაშინ იღებენ, როცა შესრულების ვადა უკვე გასულია.

საქართველოს სსრ პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების უფროსმა ს. ბელიავსკაიამ ყურადღება გაამახვილა პროკურატურისა და სასამართლო ორგანოების მიერ ამ უკანასკნელ ხანს საბჭოთა კანონიერების განხორციელების დარგში გაწეულ მუშაობაზე. ამავე დროს აღნიშნა მათს საქმიანობაში ჯერ კიდევ არსებული სერიოზული ნაკლოვანებები. პროკურატურისა და სასამართლოს ორგანოებმა უახლოეს ხანში უნდა გამოასწორონ ნაკლოვანებები და იბრძოლონ საბჭოთა კანონიერების განუხრელად შესრულებისათვის.

ვაჭრობის დარგის მუშაკების სწავლების, მათი კვალიფიკაციის ამაღლების აუცილებლობას გაუსვა ხაზი ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატმა დოცენტმა შ. გოგებაშვილმა.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საგეგმო-საფინანსო-სავაჭრო განყოფილების გამგემ ამხ. გ. გოგიშვილმა. მან თათბირის მონაწილეთა ყურადღება გაამახვილა იმ ამოცანებზე, რომლებსაც სახავენ ვაჭრობის დარგის მუშაკთა წინაშე პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებანი და მეხუთე სტალინური ხუთწლედი. ამხ. გოგიშვილმა აღნიშნა, რომ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო (მინისტრი ამხ. დ. ხანთაძე) და ცეკავშირი (გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ლ. რუხაძე) ჯერ კიდევ მთლიანად ვერ იყენებენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დახმარებას. საქმე ისე უნდა მოეწყოს, რომ მოკლე ხანში სავსებით აღმოვფხვრათ გაფლანგვა-დატაცების ფაქტები, გავაჯანსაღოთ სავაჭრო ორგანიზაციები, გავაძლიერთ პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა ვაჭრობის დარგის მუშაკებში, წინ წავწიოთ საბჭოთა კულტურული ვაჭრობის საქმე, განუხრელად შეავასრულოთ ვაჭრობის საკითხებზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის და მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებანი, ახალი ამოცანების დონეზე ავიყვანოთ სახელმწიფო ვაჭრობის საქმე საქართველოში.

განხილული საკითხის გამო თათბირმა მიიღო სათანადო ღონისძიებანი.

ვილჰელმ პიკის საახალწლო სიტყვა

(დასასრული)

პუბლიკის საერთო სამრეწველო პროდუქციის მოცულობა, 1950 წელთან შედარებით, გაიზარდა 40,5 პროცენტით. ამასთან, განსაკუთრებით დიდი წარმატებებია მიღწეული მრეწველობის გადამწყვეტი დარგების წარმოების გადიდების მხრივ.

სოფლის მეურნეობაში, მიუხედავად არახელსაყრელი კლიმატური პირობებისა, მიღწეულია გეგმით გათვალისწინებული მოსავლიანობა და პირუტყვის სულადობის შემდგომი გადიდება. მრავალი სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივის ნებაყოფლობის საფუძველზე შექმნისთანავე მოწინავე გლეხობა შეუდგა თავისი სამეურნეო მდგომარეობის არსებით გაუმჯობესებას, გადადის რა მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობაში მიზანშეწონილ და უფრო შემოსავლიან მსხვილ მეურნეობაზე.

მრეწველობის უმნიშვნელოვანეს დარგებში მუშათა ხელფასი გადიდდა და ინტელიგენციის ცხოვრების პირობები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. საცალო ვაჭრობის საშუალებით მოსახლეობამ კვების პროდუქტები და სამრეწველო საქონელი დაახლოებით 50 პროცენტით მეტი მიიღო, ვიდრე 1950 წელს. ჩვენი რესპუბლიკის მშენებელთა მიღწევებისა და მოსახლეობის დახმარების მეოხებით შესაძლებელი გახდა ბერლინის აღდგენის 1952 წლის ეროვნული პროგრამის შესრულება. დიდი ლამაზი საცხოვრებელი შენობები სტალინის ხეივანში დამაჯერებლად მოწმობს ჩვენს მისწრაფებას მშვიდობისადმი და ჩვენს რწმენას მშვიდობის ბანაკის უძლეველი ძალისადმი.

გასული წელი გერმანიის ისტორიაში შევა, როგორც ჩვენი ხალხის ცხოვრების ახალი ეტაპის დასაწყისი. გადაწყვეტილებამ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სოციალიზმის საფუძვლების გეგმაშეწონილი მშენებლობის დაწყების შესახებ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის მე-2 კონფერენცია გასული წლის თვალსაჩინო პოლიტიკურ მოვლენად გადააქცია. ჩვენ შევუდექით ჩვენი ხალხის დიდი შვილების კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსის იდეების განხორციელებას გერმანიაში.

დასავლეთ გერმანიაში, აღნიშნა შემდეგ ვილჰელმ პიკმა, 1952 წელი ადენაუერისა და მისი ამერიკელი ბატონების ომისა და სახელმწიფო გადატრიალების პოლიტიკისადმი ხალხის წინააღმდეგობის შემდგომი გაძლიერების წელი იყო.

ვილჰელმ პიკმა გაიხსენა, რომ დასავლეთ გერმანიის უკვე 15 მილიონმა მოქალაქემ გამოთქვა აზრი სახალხო კენჭისყრის მსვლელობაში ბონისა და პარიზის სამხედრო ხელშეკრულებათა წინააღმდეგ და მოითხოვა სამართლიანი საზავო ხელშეკრულების დადება გაერთიანებულ გერმანიასთან.

თავის სიტყვაში ვილჰელმ პიკმა, გაიხსენა რა სსრ კავშირის მთავრობის წინადადებანი გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების საფუძვლების საკითხზე, აღნიშნა, რომ საბჭოთა მთავრობის ამ წინადადებებს, ისევე როგორც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და სახალხო პალატის მშვიდობიან ნაბიჯებს მხურვალედ დაუჭირა მხარი გერმანელმა ხალხმა.

მაგრამ, განაგრძო ვილჰელმ პიკმა, ომის ამერიკელ გამჩაღებლებსა და მათს ბონელ დამქაშებს არა სურთ ანგარიში გაუწიონ არც ხალხთა მისწრაფებას მშვიდობისადმი, არც ჩვენი ხალხის მისწრაფებას ეროვნული ერთიანობისადმი.

თავისი სიტყვის დასასრულს ვილჰელმ პიკმა ერთხელ კიდევ მიმართა გერმანელ ხალხს მოწოდებით დაირაზმოს და იბრძოლოს ბონისა და პარიზის დანაშაულებრივ სამხედრო ხელშეკრულებათა რატიფიკაციის წინააღმდეგ, სრულიად გერმანიის შეთანხმებისათვის სამშობლოს ერთიანობის მშვიდობიანი აღდგენის შესახებ, გერმანიასთან სამართლიანი საზავო ხელშეკრულებისათვის.

ქიმ ირ სენის საახალწლო მისასალმებელი მიმართვა კორეის სახალხო არმიისა და ჩინელ სახალხო მოხალისეებისადმი

ფხენიანი, 1 იანვარი. (საკდესი). დღეს ფხენიანის რადიომ გადასცა კორეის სახალხო არმიის უმაღლესი მთავარსარდლის გენერალ ქიმ ირ სენის საახალწლო მისასალმებელი მიმართვა კორეის სახალხო არმიის ჯარისკაცებისა და ოფიცრებისადმი.

ძვირფასო სახალხო არმიის ჯარისკაცებო, სერჟანტებო, ოფიცრებო და გენერლებო, ნათქვამია მისალმებაში, ვეგებებით რა ახალ, 1953 წელს — ბრძოლისა და გამარჯვების ახალ წელს, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის, შრომის პარტიისა და პირადად ჩემი სახელით გულწრფელად მოგილოცავთ ახალ წელს თქვენ, სამშობლოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის გმირ მებრძოლებს. გასულ წელს კორეის სახალხო არმია ჩინელ სახალხო მოხალისეებთან მჭიდრო თანამოქმედებით ფრონტის ყველა უბანზე წარმატებით იგერიებდა მტრის გააფთრებულ იერიშებს, მოწინააღმდეგეს უდიდესი ზარალი მიაყენა ცოცხალი ძალისა და სამხედრო ტექნიკის მხრივ და ბრწყინვალე გამარჯვებანი მოიპოვა. მაგრამ ამერიკელი ინტერვენტები მიუხედავად სამარცხვინო დამარცხებისა, რაც მათ კორეის ფრონტზე იგემეს კორეის გმირი სახალხო არმიის, აგრეთვე ჩინელ სახალხო მოხალისეთა სისტემატური ძლიერი დარტყმით, ხელს არ იღებენ თავიანთ აგრესიულ ცდებზე, ფუშაავენ მოლაპარაკებას დაზავების შესახებ და ცდილობენ გააფართოონ ავანტიურისტული ომი სახალხო არმიის ჯარისკაცებსა და ოფიცრებს უნდა ახსოვდეთ მტრის ეს გაბოროტებული მოქმედება, შეუნელებლად და დაუცხრომლად უნდა აიმაღლონ თავიანთი საბრძოლო მზადყოფნა და სიფხიზლე და გაგაგრძონ ნაწილებში ბრძოლისუნარიანობისა და სამხედრო დისციპლინის განმტკიცება.

კორეის სახალხო არმიის ჯარისკაცებმა და ოფიცრებმა მტკიცედ უნდა დაიცვან დაკავებული პოზიციები ფრონტზე, გააქტიურონ საომარი მოქმედება, განაგრძონ თავიანთი საბრძოლო მომზადების სრულყოფა და გამანადგურებელი დარტყმები აგემონ მტერს ყოველ დროს და ყოველ ადგილას, სადაც კი იგი თავს დაგვესხმის.

დარწმუნებული ვარ, რომ ახალ, 1953 წელს სახალხო არმიის ყველა ჯარისკაცი და ოფიცერი უფრო განამტკიცებს საბრძოლო მეგობრობასა და სოლიდარობას ჩინელ სახალხო მოხალისეებთან, გაამრავლებს პატრიოტიზმის, გმირობისა და სიმტკიცის კეთილშობილურ მაგალითებს და ჩაფუშავს მტრის სამხედრო ავანტიურებს, რათა მოიპოვოს ახალი საბრძოლო წარმატებანი და გამარჯვებანი.

ქიმ ირ სენი ახალი წლის გამო კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის, კორეის შრომის პარტიისა და პირადად თავისი სახელით მიესალმა აგრეთვე ჩინელ სახალხო მოხალისეებს. მისალმებაში გამოთქმულია მტკიცე რწმენა, რომ ჩინელი სახალხო მოხალისეები, აგრეთვე კორეის სახალხო არმია, განამტკიცებენ და სრულყოფენ რა თავიანთ საბრძოლო თანამოქმედებასა და სოლიდარობას, უფრო გააძლიერებენ მზადყოფნას გადამწყვეტი დარტყმა აგემონ მტერს— ამერიკელ აგრესორებს.

გათიშვა იტალიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში

რომი, 31 დეკემბერი. (საკდესი). რომში დამთავრდა ეროვნული თათბირი იტალიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მოღვაწეებისა, რომლებიც გამოდიან სარაგატის, რომიტისა და სიმონინის პოლიტიკის წინააღმდეგ და საარჩევნო სისტემის ანტიდემოკრატიული „რეფორმის“ მთავრობის პროექტის წინააღმდეგ. თათბირში მონაწილეობა მიიღეს კოდინიოლამ და პარლამენტის ყველა წევრმა და პარტიის ხელმძღვანელებმა, რომლებმაც განაცხადეს — პარტიიდან გავდივართ იმის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა სანქციები იხმაროს ოპოზიციის ლიდერების კოდინიოლას და კალამანდრეის მიმართო. თათბირის მონაწილეებმა ერთხმად მიიღეს რეზოლუცია, რომლითაც ადასტურებენ თავიანთ სოლიდარობას კოდინიოლასა და კალამანდრეისთან.

სარაგატის ერთ-ერთმა ემისარმა თათბირის მონაწილეებს პარტიის ხელმძღვანელობის სახელით აღუთქვა გააუქმოს გადაწყვეტილება კოდინიოლასა და კალამანდრეის წინააღმდეგ და თავის შემადგენლობაში შეიყვანოს გათიშული ჯგუფის წარმომადგენელი, თუ ჯგუფი დათანხმდება უარი თქვას „მთავრობის კანონპროექტის გამო შეურიგებელ პოზიციაზე“. ეს წინადადება ერთხმად უარყოფილ იქნა.

დააპაჭიმრეს ალჟირის კომუნისტური პარტიის მდივანი

პარიზი, 1 იანვარი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ლუმანიტე“ იუწყება, ალჟირის კომუნისტური პარტიის მდივანი ჰოლ კაბალერო დააპატიმრეს „ალჟირის თავისუფლებათა დაცვისა და პატივისცემის ფრონტის“ იმ ფურცლის გავრცელებისათვის, რომელშიც დადასტურებულია ალჟირელ და მაროკელ ხალხთა სოლიდარობა.

მთავრობის კრიზისი საფრანგეთში

პარიზი, 31 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის საგენტო იუწყება, რენე მეიერი (რადიკალთა და რადიკალ-სოციალისტთა პარტიის ერთ-ერთი ლიდერი) დათანხმდა წინადადებაზე შეადგინოს მომავალი მთავრობა და იუწყებს ჩვეულებრივ კონსულტაციებს, რის შემდეგ საბოლოო პასუხს მისცემს რესპუბლიკის პრეზიდენტს.

კორეის ამბები

სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 31 დეკემბერი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ 31 დეკემბერს გამოაცხადა:

განვლილი დღის მანძილზე კორეის სახალხო არმიისა და ჩინელ სახალხო მოხალისეთა შენაერთები ყველა ფრონტზე საარტილერიო ბრძოლებს ეწეოდნენ ამერიკელ-ინგლისელ ინტერვენტებთან და ლისინმანელთა ჯარებთან. ფრონტებზე განსაკუთრებული ცვლილება არ მომხდარა.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა ჩამოაგდეს მტრის 4 და დაზიანეს 3 თვითმფრინავი.

ფხენიანი, 1 იანვარი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ 1 იანვარს გამოაცხადა:

განვლილი დღის მანძილზე კორეის სახალხო არმიისა და ჩინელ სახალხო მოხალისეთა შენაერთები წინანდელ ზღუდეებზე საარტილერიო ბრძოლებს ეწეოდნენ ამერიკელ-ინგლისელ ინტერვენტებთან და ლისინმანელთა ჯარებთან.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მტრის 3 და დაზიანეს 6 თვითმფრინავი.

გენერალ ნამ ირის პროტესტი

პეკინი, 1 იანვარი. (საკდესი). სინხუას საagენტოს კორესპონდენტი კესონიდან გადმოგვცემს:

30 დეკემბერს გენერალმა ნამ ირმა ამერიკელ გენერალ ჰარისონს, რომელიც მეთაურობს „გაერთიანებული ერების შეიარაღებული ძალების დელეგაციას“, გაუგზავნა წერილობითი პროტესტი ამერიკელების მიერ კუნძულ ჩეჯუდოზე, პუსანში და კუნძულ კოჯედოზე 24 და 25 დეკემბერს სამხედრო ტყვეთა ბანაკში მკვლელობის წინააღმდეგ.

პროტესტში ნათქვამია:

„24 დეკემბერს თქვენმა მხარემ მოკლა ჩვენი მხარის ორი სამხედრო ტყვე კუნძულ ჩეჯუდოს და პუსანის ბანაკებში, ხოლო 25 დეკემბერს მოკლულია კიდევ ერთი ჩვენი სამხედრო ტყვე კუნძულ კოჯედოს ბანაკში. ეს აქტები წარმოადგენენ ჩვენი მხარის სამხედრო ტყვეების დანაშაულებრივი დახოცვის განგრძობას კუნძულ პონგანის ბანაკში მასობრივი მკვლელობის შემდეგ, და ამასთან დაკავშირებით მტკიცე პროტესტს გიცხადებთ.

თქვენი მხარის მიერ გამოქვეყნებული ცნობებისა და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მოხსენების თანახმად, თქვენ დახოცეთ და დაპერით ჩვენი მხარის 3.059 სამხედრო ტყვემას შემდეგ, რაც დაიწყო მოლაპარაკება დაზავების შესახებ, თუმცა ნამდვილად იმ უიარაღო სამხედრო ტყვეების რაოდენობა, რომლებიც დაიღუპნენ ან ჭრილობა მიიღეს თქვენი სისხლიანი ხელით, ბევრად აღემატება ამ ციფრებს.

1952 წლის 23 თებერვლიდან მე განვაცხადე 45 პროტესტი თქვენი მხარის დანაშაულობათა წინააღმდეგ, რომლებიც დღემდე არ წყდება. მაგრამ თქვენ ერთხელაც კი არ წარმოგიდგენია ახსნა-განმარტება ამ დანაშაულობათა შესახებ. თქვენ ვერ ბედავთ და არ შეგიძლიათ ახსნათ ისინი. თქვენთვის ეს შეუძლებელია. თქვენ იმედი გაქვთ, რომ შეძლებთ სამარცხვინო დუმილით თავი დააღწიოთ მძიმე პასუხისმგებლობას, რაც სამხედრო ტყვეების მოკვლისათვის გეკისრებათ. მაგრამ ჩვენი ტყვე პერსონალის გმირულმა და მტკიცე წინააღმდეგობამ და სამხედრო ტყვეების ბანაკების თქვენი ყოფილი კომენდანტების დოდისა და კოლსონის გულახდილმა აღიარებამ დიდი ხანია ცხადყო მთელი მსოფლიოს წინაშე, რომ თქვენ ულმობლად ხოცავთ სამხედრო ტყვეებს და ცდილობთ დაიკავოთ ისინი.

თქვენი მხარე მრავალ ყოველგვარ ხრიკს მიმართავდა, რათა ხელი შეეშალა სამხედრო ტყვეების საკითხის გონივრული მოწესრიგებისათვის მას შემდეგ, რაც ამ საკითხის განხილვა დაიწყო. თქვენ თითქოს ემყარებით ეგრეთწოდებული ნებაყოფლობითი რეპატრიაციის პრინციპებს, რომლებიც გულისხმობს, რომ სამხედრო ტყვეების დასაბრუნებლად არ შეიძლება გამოყენებული იქნას ძალა, რომ არ შეიძლება დაშვებულ იქნას ძალდატანებითი რეპატრიაცია. მაგრამ ფაქტები ცხადყოფენ, რომ სწორედ თქვენი მხარე ხმარობს უხეშ ძალას და აღიარევენ საერთაშორისო სამართალს ჩვენი სამხედრო ტყვეების არაადამიანური და ბარბაროსული „შერჩევის“, „განმეორებითი შერჩევის“, „დარწმუნების“ და „გამოკითხვის“ გზით. თქვენ ცდილობთ აიძულოთ ისინი უღალატონ სამშობლოს და თქვან, რომ „არა სურთ შინ დაბრუნება“.

ერთადერთი პრინციპი, რომელსაც თქვენი მხარე იცავს, სამხედრო ტყვეების მოკვლისა და დაკავების პრინციპია.

ჩვენ ამას ვერ მოვითმენთ. სინამდვილეში ეს ფანტასტიკური სბაბი თქვენ შეთითხნეთ სამხედრო ტყვეების დასაკავებლად ჭხოლოდ და მხოლოდ იმ მიზნით, რომ განაგრძოთ და გააფართოოთ კორეის ომი. თქვენმა მხარემ ჩაშალა მოლაპარაკება დაზავების შესახებ და გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში უარყო სრულიად სამართლიანი და გონივრული საბჭოთა სამშვიდობო წინადადება, რომელიც ემყარება ორივე მხარეს შორის უკვე მიღწეულ შეთანხმებებს. ეს წინადადება თვალსაწინაოს ცეცხლის სრულ შეწყვეტას კორეაში და ყველა სამხედრო ტყვის რეპატრიაციის საკითხის გადაცემას კორეის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგების კომისიის განსახილველად. ამავე დროს თქვენ კიდევ უფრო სერიოზულად დაარღვიეთ შეთანხმებები, რომლებიც შეეხება კონფერენციისა და ნეიტრალური ზონის რაიონს, და, ამრიგად, ძირს უთხრით მოლაპარაკების თვით საფუძველს.

თქვენი ნამდვილი მიზანია კორეის ომის განგრძობა და გაფართოება, რათა ძირი გამოუთხაროთ მშვიდობას შორეულ აღმოსავლეთსა და მთელ მსოფლიოში. ჩვენ ვერ მოვითმენთ სამხედრო ტყვეების მოკვლას და არასოდეს არ დავთანხმებით მათ დაკავებას. მით უმეტეს მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხები ვერ მოითმენენ კორეის ომის განგრძობასა და გაფართოებას სამხედრო ტყვეების დაკავების გიჟური საბაბით. თქვენი მხარე თავს ვერ დააღწევს პასუხისმგებლობას ამ სამხედრო დანაშაულობათათვის“.

გენერალ ნამ ირის მითითებით კორეისა და ჩინეთის მხარის მეკავშირე უფროსმა ოფიცერმა პოლკოვნიკმა ჩან ჩუნ სანმა მოითხოვა, რომ ამერიკელებმა ზუსტად დაიცვან შეთანხმება, რომელიც ორ მხარეს შორის დადებულია მოლაპარაკებისა და ნეიტრალური ზონის რაიონის შესახებ, და ბოლო მოუღონ ამ შეთანხმებათა დარღვევას, რომელიც განუწყვეტლივ გრძელდება მას შემდეგ, რაც 8 ოქტომბერს მოლაპარაკება შეწყდა. პოლკოვნიკმა ჩან ჩუნ სანმა გადაწერით გააფრთხილა ამერიკელები, რომ თუ ისინი მომავალშიც დაარღვევენ ამ შეთანხმებებს ეს სერიოზულ შედეგებს გამოიწვევს.

მეკავშირე ოფიცერთა სხდომაზე ამერიკის მხარეს ეცნობა, რომ კორეის სახალხო არმიის პოლკოვნიკი ჯუ იანი დაინიშნა კორეა-ჩინეთის დელეგაციის მეკავშირე უფროს ოფიცრად პოლკოვნიკ ჩან ჩუნ სანის ნაცვლად.

თბილისი. ფეხსაცმლის ახალ მაღაზიაში უნივერსიტეტის ჭურჭაზე.
ფოტო შ. ჩხეტიანისა.

მოთხილამურეთა შეჯიბრება ბაკურიანში

ამ დღეებში ბაკურიანში გაიმართა ჩვენი რესპუბლიკის უძლიერეს მოთხილამურეთა პირველი საკონტროლო შეხვედრები — მოეწყო შეჯიბრება 40-მეტრიან ტრამპლინიდან ხტომაში, აგრეთვე სათხილამურო გადარბენები ქალთათვის 5 და ვაჟთათვის 10 კილომეტრზე.

ამ ასპარეზობამ ცხადყო საქართველოს მოთხილამურეთა კარგი ფიზიკური და ტექნიკური მომზადება.

ტრამპლინიდან ხტომაში პირველი ადგილი დაიკავა კ. წაქაძემ, მეორე — პ. გაავამ.

წარმატებით აღინიშნა სათხილამურო გადარბენა ვაჟთათვის 10 კილომეტრზე. ფინიშთან პირველი მივიდა ვ. მურჯიკნელი, რომელმაც მანძილი დაფარა 33 წუთსა და 36 წამში. მეორე ადგილზე გამოვიდა ბ. არბოლიშვილი, მესამეზე — ი. მიხაილიკი.

ქალთა სათხილამურო გადარბენა 5 კილომეტრზე დამთავრდა გ. ბრიტკინას გამარჯვებით. დრო — 19 წუთი და 25 წამი.

თბილისის ოლქის პირველობა ძალოსნობაში

სასპორტო საზოგადოება „პიშჩევიკის“ დარბაზში დამთავრდა შეჯიბრება ძალოსნობაში თბილისის ოლქის პირად-გუნდური პირველობისათვის.

გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი დაიკავა ქ. თბილისის ძალოსნთა კოლექტივმა, მეორე ადგილზე გამოვიდა ახალციხის რაიონის გუნდი, მესამეზე — ქ. გორის გუნდი.

თბილისის ოლქის ჩემპიონის წოდება მოიპოვეს: ჩხატე წონაში — სპორტის ოსტატმა ნ. ფერაძემ, ქვემსუბუქ წონაში — სპორტის ოსტატმა ხ. ხანუკაშვილმა, მსუბუქ წონაში — XV ოლიმპიური თამაშის ჩემპიონმა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა რ. ჩიმოშკიანმა, ქვესაშუალო წონაში — ვ. პოლოსუხინმა, საშუალო წონაში — სპორტის ოსტატმა გ. კოშაძემ, ქვემძიმე წონაში — ი. შვიცმა, მძიმე წონაში — ი. ქართველიშვილმა.

თბილისელმა ძალოსანმა ი. შვიცმა ორი ხელით აწიმა 115,5 კილოგრამი და დაამყარა საქართველოს ახალი რეკორდი.

კ. ზაუტაშვილი.
სპორტის ოსტატი.

გორი სომეხ მწერალთა ეწვევა

გორი (ჩვენი კორ.). ოდესღაც ერევანს იჩენენ ნაციონალური ომები საბჭოთა მეცნიერები. ისინი ახალ გორზე ქმნიან მაღალმხატვრულ ნაწარმოებებს, უმღერიან ქართლის მადლიან მიწას.

ახალგაზრდა სომეხი მწერალი ა. ოვსეპიანი ამჟამად მუშაობს სტალინის ბავშვობის წლებთან დაკავშირებული ნარკვევების სერიაზე. პოეტებმა მ. ნარიანმა და ა. საროიანმა დიდი სტალინის ახალგაზრდობის წლებისა და გორისადმი მიძღვნილი მთელი რიგი მაღალიდეური ლექსები და სიმღერები შექმნეს. მათ შორის აღსანიშნავია მ. ნარიანის „ბელადის სახლი“, „გორი“, „ახალგაზრდა ჯუღაშვილი“, ა. საროიანის „ნათელი სახლი“, „დიდების ქალაქი“, „გორის ციხე“ და სხვ.

ამ დღეებში სომეხი საბჭოთა მწერლების ბრიგადა იყო გორში და დაწვრილებით გაეცნო ქალაქის ისტორიულ ადგილებს და ღირსშესანიშნაობებს.

მკითხველთა კონფერენცია

ქ. მარქსის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში გაიმართა მკითხველთა კონფერენცია თემაზე: „ი. ბ. სტალინის წიგნი „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“.

მოსმენილ იქნა მკითხველთა მოხსენებები შემდეგ თემებზე: ი. ბ. სტალინი სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის მომზადების წინაპირობების შესახებ (მომხსენებელი ს. სოსელია), ი. ბ. სტალინი სასაქონლო წარმოებისა და ღირებულების კანონის შესახებ სოციალიზმის დროს (მომხსენებელი გ. მშვილდაძე), მატერიალისტური დიალექტიკის თეორიის განვითარება სტალინის ნაშრომში „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ (მომხსენებელი კ. არჩვაძე).

კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე დოცენტებმა მ. კალანდარიშვილმა, დ. როდონაიამ და სხვებმა.

კონფერენციას 400-ზე მეტი კაცი დაესწრო. ბიბლიოთეკამ მოაწყო აგრეთვე ლიტერატურის გამოფენა, მიძღვნილი ი. ბ. სტალინის ახალი გენიალური შრომისადმი „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“.

სასამართლო

ბოროტმოქმედნი და კომბინაციორები დაისაჯნენ

ხაშური. (საკ. კორ.). ხაშურის ცხოველდამზადების კანტორის ბაზის ყოფილი გამგე შ. მანჩხაშვილი და რაიდამზადების აგენტი ზ. ბლიაძე თავიანთი „მოღვაწეობის“ განმავლობაში სისტემატურად აკლებდნენ და ატყუებდნენ წონასაწონ ჩამბარებლებს, აკეთებდნენ ყალბ ქვითრებს, ეწეოდნენ მექრთამეობას. ბოროტმოქმედებაში მათ ხელს უწყობდა ზოგიერთი კოლმეურნეობის მუშაკი და სხვა პირები.

რამდენიმე დღის წინათ თბილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის გამსვლელმა სესიამ ქალაქ ხაშურში გაარჩია 12 ბოროტმოქმედის საქმე.

სასამართლომ მიუსაჯა: შ. მანჩხაშვილს — 13 წლით პატიმრობა, ზ. ბლიაძეს — 14 წლით, საქონლის უფროს მწყემსს პ. ბლიაძეს — 11 წლით, სოფელ რბონის კოლმეურნეობის ყოფილ თავმჯდომარეს გ. გელაშვილს, ბუხგალტერ გ. ნოხაძეს და სხვ. დამნაშავეთ — 10 წლის პატიმრობა ქონების კონფისკაციით, ზარალის ანაზღაურება და სასჯელის მოხდის შემდეგ სამი წლით საარჩევნო ხმის უფლების ჩამორთმევა.

სასამართლომ მოქალაქე სერგო ბაბუაშვილს ქრთამის მიცემისათვის მიუსაჯა ორი წლით პატიმრობა.

რედაქტორი გ. მერკვილაძე.

საქართველოს რადიოგადაცემათა 4 იანვრის პროგრამა

რადიოსადგურებით 1.571 და 59,52 მეტრ ტალღებზე და თბილისის საქალაქო ქსელით: 06.45 — ვალსები; 10.30 — საუბარი — „ქალაქსა და სოფელს შორის დაპირისპირებულობის მოსპობა და მათ შორის არსებითი განსხვავების ლიკვიდაციის გზები“; 11.00 — „პიონერთა დაფიონის“ საკვირაო გამოშვება; 11.30 — კონცერტი რუს. დამსახ. არტისტს ლადო გერმესაშვილის შესრულებით; 12.15 — კონცერტი: ვაგნერი, ლისტი; 12.45 — საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერები; 16.00 — ლიტერატურულ-მუსიკალური გადაცემა: მღერის რობსონი; 17.00 — რადიოჟურნალი „მიკროფონით ჩვენს რესპუბლიკაში“; 17.30 — გადაცემა მოსწავლეთათვის, საბავშვო რადიოდადგმების ფესტივალი.

რადიოსადგურებით 1.500 და 59,52 მეტრ ტალღებზე და თბილისის საქალაქო ქსელით: 20.30 — საერთაშორისო მიმოხილვა; 20.50 — კონცერტი ხელოვნების ოსტატთა შესრულებით; 23.00 — ნაწყვეტები ოპერეტებიდან; 00.05 — საცეკვაო მუსიკის კონცერტი.

ოპერისა და ბალეტის თეატრი

3 იანვარს	დღის 12 საათზე გ. კილაძე — **სინათლე** საღამოს — ჯ. ვერდი — **ტრავიატა**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

დღეს თეატრებში

რუსთაველის სახელობის — ოთარაანთ ქვრივი; **მარჯანიშვილის სახელობის** — ცეკვის მასწავლებელი (დილას), ვარდი ასფუტცლოვანი (საღამოს); **გრიბოედოვის სახელობის** — ვერაგობა და სიყვარული (დილას), მშვენიერ სიცრუეთა დღე (საღამოს, აბონემენტი 7, 8); **სომხური დრამის** — კლდე (12 ს აბონემენტი 4), ოჯახის ღირსება (საღამოს); **მუსიკალური კომედიის** — მეგობრები (დილას), საჩუქარი (საღამოს); **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — გარდატეხა (აბონემენტი 14, 11 ს., აბონემენტი 1, 5 ს.); **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — წინ, უშიშარნო! (11 და 5 ს.); **თოჯინების** — დათუნიას ქოხი (12, 2 ს. და 30 წ., 4 ს. და 30 წ.); **სანიტარული კულტურის** — სიცოცხლის ტყე.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს, რომ ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე 1953 წ. 14 იანვარს, დღის 3 საათზე, № 86 აუდიტორიაში (მთავარი შენობა, უნივერსიტეტის ქ. № 1) ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ევგენია ივანეს ასული ჩადაევსკაია** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„Система сложных слов в современном английском языке“.**

ოფიციალური ოპონენტები: პროფესორი — დოქტორი **ბ. ა. ილიში**, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი **მ. იანქოშვილი.** დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტი აცხადებს, რომ 1953 წლის 13 იანვარს, დღის 1 საათზე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სასხდომო დარბაზში (ძერჟინსკის ქ. № 8) ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომაზე **დავით ვლადიმერის-ძე გვრიტიშვილი** ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„გვიანფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (ქართლის სათავადოები)“.**

ოფიციალური ოპონენტები: ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ი. ცინცაძე**, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ი. სურგულაძე**, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი **პ. გრიგოლია.**

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (ძერჟინსკის ქ., № 8, II სართული) სამუშაო საათებში.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი აცხადებს, რომ ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე 1953 წლის 13 იანვარს დღის 3 საათზე ინსტიტუტის აუდიტორიაში (ზელიქიშვილის ქ. № 10) მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავენ დისერტაციას:

ეთერ ნიკოლოზის ასული მაჭავარიანი — თემაზე: **„პერიფერიული სისხლისა და სისხლის წარმომშობი აპარატის მორფოლოგიური ცვლილებანი ექსპერიმენტული ალიმენტური დისტროფიის დროს“.**

ოფიციალური ოპონენტები — **საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი, პროფესორი ვ. ვ. ვორონინი** და მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი **გ. მ. მარუაშვილი;**

რაფაელ პავლეს-ძე ქორჩილავა — თემაზე: **„ჭრილობის პირველადი დამუშავება“.**

ოფიციალური ოპონენტები — მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი **დ. გ. იოსელიანი** და მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ე. ყ. ფიფია.**

მსურველთ შეუძლიათ გაეცნონ შრომებს სამედიცინო ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (თარხნიშვილის ქ. № 2).

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სასაბჭოო **ენიმანეთა ინსტიტუტი** აცხადებს, რომ 1953 წლის 13 იანვარს, დღის 1 საათზე, ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომაზე **ალექსანდრეს-ძე ბოლოკაძე** ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„ბოლოკური ენა ბოლოკურ ენა“.**

ოფიციალური ოპონენტები: ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ა. ბ. ჩიქობავა**, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი **ა. ბ. ალიევი.**

ბ. ა. ბერიძის სახელობის ბიბლიოთეკა ეცნობა, რომ ... 1953 წ. 14 იანვარს, დღის 3 საათზე, № 86 აუდიტორიაში (მთავარი შენობა, უნივერსიტეტის ქ. № 1) ... **ეკატერინე ... ასულ ... ...** ... **ილარიონის-ძე ... ...** ... **ბ. ... ...** ... **ბ. ... ...** ... **ბ.